ПРОЛЕТАРЕБО, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 21 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1944 წ. № 59 (7003). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲥᲣᲙᲝᲕᲡ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ 1-ლი ფრონტის ჯარებმა, შემოვლითი მანევრისა და ფრონტიდან იერიშის შედეგად, დღეს, 19 მარტს, დაიკავეს ქალაქი **ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲔᲪᲘ**— გერმანელების მიერ ხელოვნურ თავდაცვით ნაგებობათა განვითარებული ქსელით გაძლიერებული მძლავრი ბუნებრივი სიმაგრე კრემენეცის მთაგრეხილზე.

ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲔᲪᲘᲡ დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ᲞᲣᲮᲝᲕᲘᲜᲘᲡ**, გენერალ-ლეიტენანტ **ᲙᲘᲠᲘᲣᲮᲘᲜᲘᲡ** ჯარებმა, არტილერიის გენერალ-მაიორ **ᲙᲣᲑᲔᲔᲕᲘᲡ**, პოლკოვნიკ **ᲡᲣᲚᲙᲘᲡ** არტილერისტებმა, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ᲙᲝᲠᲝᲚᲔᲕᲘᲡ** ტანკისტებმა, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **ᲙᲐᲡᲝᲕᲡᲙᲘᲡ**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ᲒᲐᲚᲣᲜᲝᲕᲘᲡ** და პოლკოვნიკ **ᲚᲝᲛᲣᲫᲘᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ** მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი **ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲔᲪᲘᲡ** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲔᲪᲘᲡ**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 19 მარტს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ** სამშობლოს სახელით ასოცდათხუთი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს **ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲔᲪᲘ**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ **ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲔᲪᲘᲡ** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1944 წლის 19 მარტი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲙᲝᲜᲔᲕᲡ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ მე-2 ფრონტის ჯარებმა, სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის სწრაფი მანევრის შედეგად, გუშინ, 19 მარტს, დაიკავეს ქალაქი **ᲛᲝ-ᲒᲘᲚᲘᲝᲕ-ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙᲘ** — რკინიგზის დიდი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი **ᲓᲔᲡᲔᲡᲢᲠᲗᲖᲔ**.

ქალაქ **ᲛᲝᲒᲘᲚᲘᲝᲕ-ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙᲘᲡ** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ᲢᲠᲝᲤᲘᲛᲔᲜᲙᲝᲡ**, გენერალ-ლეიტენანტ **ᲒᲝᲠᲘᲐᲩᲔᲕᲘᲡ**, გენერალ-მაიორ **ᲡᲔᲛᲘᲝᲜᲝᲕᲘᲡ** ჯარებმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ᲙᲠᲐᲕᲩᲔᲜᲙᲝᲡ**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ᲕᲝᲚᲙᲝᲕᲘᲡ** ტანკისტებმა, არტილერიის გენერალ-მაიორ **ᲚᲔᲒᲔᲓᲔᲕᲘᲡ** არტილერისტებმა და საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ᲪᲘᲠᲚᲘᲜᲘᲡ** მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქ **ᲛᲝᲒᲘᲚᲘᲝᲕ-ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙᲘᲡ** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ᲛᲝᲒᲘᲚᲘᲝᲕ-ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙᲘᲡ**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 20 მარტს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ** სამშობლოს სახელით ასოცდათხუთი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ᲛᲝᲒᲘᲚᲘᲝᲕ-ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙᲘ**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **ᲛᲝᲒᲘᲚᲘᲝᲕ-ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙᲘᲡ** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1944 წლის 20 მარტი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲥᲣᲙᲝᲕᲡ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ 1-ლი ფრონტის ჯარებმა დღეს, 20 მარტს, იერიშისა და ფლანგებიდან შემოვლითი მანევრის შედეგად დაიკავეს უკრაინის საოლქო და დიდი სამრეწველო ცენტრი — ქალაქი **ᲕᲘᲜᲘᲪᲐ**, რომელიც გერმანელებს გადაქცეული ჰქონდათ თავდაცვის მძლავრ დასაყრდენ პუნქტად **ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲑᲣᲒᲖᲔ**.

ქალაქ **ᲕᲘᲜᲘᲪᲘᲡ** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს **ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲩᲘᲡ**, **ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢ ᲨᲔᲕᲔᲠᲓᲘᲜᲘᲡ**, **ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲙᲘᲚᲘᲡᲘᲜᲘᲡ** ჯარებმა, არტილერიის **ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲚᲘᲮᲐᲩᲝᲕᲘᲡ** არტილერისტებმა, პოლკოვნიკ **ᲑᲔᲚᲘᲐᲔᲕᲘᲡ** ტანკისტებმა, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **ᲙᲠᲐᲡᲝᲕᲡᲙᲘᲡᲐ** და ავიაციის გენერალ-მაიორ **ᲙᲐᲛᲐᲜᲘᲜᲘᲡ** მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქ **ᲕᲘᲜᲘᲪᲘᲡ** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ᲕᲘᲜᲘᲪᲘᲡ**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 20 მარტს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ** სამშობლოს სახელით ორასოცდათხუთი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ᲕᲘᲜᲘᲪᲐ**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **ᲕᲘᲜᲘᲪᲘᲡ** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1944 წლის 20 მარტი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Գ. Ა. ᲠᲝᲑᲐᲯᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲣᲨᲣᲤᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დაინიშნოს ამხ. გიორგი აბესალომის-ძე **რობაჯიძე** საქართველოს სსრ მუშუფი მრეწველობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Գ. ᲡᲢᲣᲠᲣᲐ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ვ. ᲔᲒᲜᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

1944 წ. 20 მარტი. ქ. თბილისი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Գ. Ა. ᲯᲐᲑᲣᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲢᲧᲔᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დაინიშნოს ამხ. გიორგი ანდრიას-ძე **ჯაბუა** საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Գ. ᲡᲢᲣᲠᲣᲐ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ვ. ᲔᲒᲜᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

1944 წ. 20 მარტი. ქ. თბილისი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Գ. Ა. ᲯᲐᲑᲣᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲣᲨᲣᲤᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ Գ. ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ანდრიას-ძე **ჯაბუა** საქართველოს სსრ მუშუფის მრეწველობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Գ. ᲡᲢᲣᲠᲣᲐ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ვ. ᲔᲒᲜᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

1944 წ. 20 მარტი. ქ. თბილისი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Ლ. Ი. ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲢᲧᲔᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

განთავისუფლდეს ამხ. ლავრენტი ივანეს-ძე **ჩიბურდანიძე** საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან ავადმყოფობის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Գ. ᲡᲢᲣᲠᲣᲐ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ვ. ᲔᲒᲜᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

1944 წ. 20 მარტი. ქ. თბილისი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ
19 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ 1-ლი ფრონტის ჯარებმა შემოვლითი მანევრისა და ფრონტიდან იერიშის შედეგად 19 მარტს დაიკავეს ქალაქი **ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲔᲪᲘ** — გერმანელების მიერ ხელოვნურ თავდაცვით ნაგებობათა განვითარებული ქსელით გაძლიერებული მძლავრი ბუნებრივი სიმაგრე კრემენეცის მთაგრეხილზე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ᲞᲚᲐᲨᲩᲣᲚᲐ**, **ᲡᲔᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲘᲜᲘ**, **ᲡᲠᲔᲑᲜᲘ**, **ᲙᲐᲠᲣᲢᲔᲪᲘ**, **ᲛᲘᲮᲐᲚᲣᲨᲙᲐ**, **ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲙᲐ**, **ᲙᲝᲠᲜᲘᲣᲨᲘ**, **ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲘᲜᲘ**, **ᲨᲕᲘᲠᲝᲕᲘ**, **ᲢᲧᲠᲘᲐ**, **ᲒᲔᲠᲣᲨᲣᲪᲔ**, **ᲛᲘᲮᲐᲚᲣᲨᲙᲐ**, **ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲙᲐ**, **ᲙᲝᲠᲜᲘᲣᲨᲘ**, **ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲘᲜᲘ** და რკინიგზის სადგურები **ᲙᲐᲛᲔᲜᲘᲪᲐ ᲕᲝᲚᲘᲜᲘᲜᲙᲐᲘᲐ**, **ᲠᲣᲓᲜᲘᲐ ᲞᲝᲩᲐᲠᲣᲨᲙᲐᲘᲐ**, **ᲛᲘᲮᲐᲚᲣᲨᲙᲐ**.

19 მარტის განმავლობაში **ᲕᲘᲜᲘᲪᲘᲡ** ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები **ᲚᲣᲪᲙᲐ**, **ᲙᲝᲜᲣᲮᲝᲕᲘ**, **ᲛᲔᲓᲕᲘᲓᲝᲕᲙᲐ**, **ᲙᲣᲡᲘᲙᲝᲕᲪᲘ**, **ᲘᲕᲩᲐ**, **ᲠᲣᲡᲝᲚᲘᲜᲙᲐ**, **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲙᲐ**, **ᲛᲐᲘᲓᲐᲜᲘ**, **ᲛᲘᲖᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲗ ᲮᲣᲢᲝᲠᲐ**, **ᲡᲢᲠᲘᲣᲨᲐᲩᲘ**.

ქალაქ **ᲫᲛᲘᲠᲘᲜᲙᲘᲡ** სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, დაიკავეს ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრები **ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲩᲘᲙᲘ**, **ᲨᲐᲠᲙᲝᲕᲨᲩᲘ**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ᲢᲐᲠᲐᲡᲚᲝᲕᲙᲐ**, **ᲙᲔᲜᲙᲝᲕᲙᲐ**, **ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲙᲐ**, **ᲛᲣᲠᲐᲨᲐ**, **ᲠᲐᲮᲜᲘ ᲚᲔᲡᲝᲕᲪᲘ**, **ᲓᲔᲠᲔᲓᲐᲩᲘᲜᲘ**, **ᲖᲕᲔᲓᲔᲜᲝᲕᲙᲐ**, **ᲯᲣᲠᲘᲜᲘ**, **ᲮᲝᲛᲔᲜᲙᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲐᲜᲙᲘ**, **ᲙᲐᲠᲐᲙᲝᲕᲙᲐ**, **ᲠᲝᲢᲛᲘᲡᲢᲠᲝᲕᲙᲐ**, **ᲡᲔᲠᲔᲑᲠᲘᲐ** და რკინიგზის სადგურები **ᲑᲣᲓᲙᲘ**, **ᲘᲐᲠᲝᲨᲔᲜᲙᲐ**, **ᲠᲐᲮᲜᲘ**.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲐᲓᲒᲔᲜᲔᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲗ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ **ᲛᲝᲒᲘᲚᲘᲝᲕ-ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙᲘᲡ** და **ᲑᲠᲘᲜᲘᲜᲘᲡ** ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ.

19 მარტის განმავლობაში ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲛᲝᲕᲚᲘᲗᲘᲗ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲘᲗᲐ და ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲓᲐᲜ ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲡ შედეგად 19 მარტს დაიკავეს ᲠᲝᲕᲜᲝᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ რაიონული ცენტრი — ქალაქი **ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲜᲝᲠᲐᲛᲔᲘᲡᲙᲘ** (ᲠᲐᲫᲘᲕᲘᲚᲝᲕᲘ), აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ᲕᲔᲠᲑᲔᲜᲘ**, **ᲠᲣᲡᲢᲠᲣᲒᲘᲜᲘ**, **ᲛᲘᲢᲔᲜᲘᲪᲐ**, **ᲙᲝᲠᲝᲚᲔᲕᲣᲨᲙᲐ**, **ᲙᲝᲠᲡᲣᲜᲘ**, **ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲘᲜᲘ**, **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲙᲐ**, **ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲙᲐ**, **ᲛᲐᲚᲝᲕᲘ ᲡᲝᲚᲝᲕᲔᲪᲘ**, **ᲠᲐᲪᲘᲜᲘ**, **ᲑᲔᲚᲝᲣᲡᲝᲕᲙᲐ**.

ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲑᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲫᲘᲠᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ.

18 მარტის განმავლობაში ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 45 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 52 თვითმფრინავი.

* * *

20 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

20 მარტის განმავლობაში ქალაქ **ᲓᲣᲑᲜᲝᲡ** სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს როვნოს ოლქის რაიონული ცენტრი — ქალაქი **ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲜᲝᲠᲐᲛᲔᲘᲡᲙᲘ** (ᲠᲐᲫᲘᲕᲘᲚᲝᲕᲘ), აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ᲕᲔᲠᲑᲘᲜᲘ**, **ᲠᲣᲡᲢᲠᲣᲒᲘᲜᲘ**, **ᲛᲘᲢᲔᲜᲘᲪᲐ**, **ᲙᲝᲠᲝᲚᲔᲕᲣᲨᲙᲐ**, **ᲙᲝᲠᲡᲣᲜᲘ**, **ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲘᲜᲘ**, **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲙᲐ**, **ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲙᲐ**, **ᲛᲐᲚᲝᲕᲘ ᲡᲝᲚᲝᲕᲔᲪᲘ**, **ᲠᲐᲪᲘᲜᲘ**, **ᲑᲔᲚᲝᲣᲡᲝᲕᲙᲐ**.

ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲑᲜᲔᲑᲖᲔ მზვერავთა მოქმედებაა.

18 მარტის განმავლობაში ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 45 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 52 თვითმფრინავი.

* * *

20 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

20 მარტის განმავლობაში ქალაქ **ᲓᲣᲑᲜᲝᲡ** სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ᲠᲝᲕᲜᲝᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ რაიონული ცენტრი — ქალაქი **ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲜᲝᲠᲐᲛᲔᲘᲡᲙᲘ** (ᲠᲐᲫᲘᲕᲘᲚᲝᲕᲘ), აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 70-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ᲙᲐᲛᲔᲜᲔᲪᲘᲢᲐᲪᲙᲐ**, **ᲙᲠᲘᲕᲘᲐᲘᲜᲐ ᲙᲣᲡᲢᲝᲜᲘ**, **ᲜᲝᲕᲝ-ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲙᲐ**, **ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲙᲐ**, **ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲝᲕᲙᲐ**, **ᲜᲘᲙᲝᲚᲡᲙᲝᲔ**, **ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲙᲐ**, **ᲛᲐᲚᲝᲔ ᲡᲝᲚᲝᲕᲔᲪᲘ**, **ᲠᲐᲪᲘᲕᲘ**, **ᲑᲔᲚᲝᲣᲡᲝᲕᲙᲐ**.

ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲑᲜᲔᲑᲖᲔ მზვერავთა მოქმედებაა.

18 მარტის განმავლობაში ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 45 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 52 თვითმფრინავი.

* * *

20 მარტს გერმანიის რადიომ გადასცა ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა თვითმფრინავებმა ვითომ დაბომბეს ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ 19 მარტს.

* * *

ქალაქ დუბნოს სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, მიადგნენ ქალაქ ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲜᲝᲠᲐᲛᲔᲘᲡᲙᲘ (რაძივილოვი) და გაიჩაღეს ბრძოლები მის განაპირა უბნებში. საბჭოთა მებრძოლებმა სხვადასხვა მიმართულებიდან წარმოებული კონცენტრირებული დარტყმებით გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი. ხელთ ვიგდეთ საწყობები საომარ მასალიანად, სურსათიანად და სამხედრო ქონებიანად. სხვა უბანზე 6 შენაერთის ნაწილებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის პოლკი, რომელიც ის იყო ჩამოვიდა ფრონტზე. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 1.200-ზე მეტი გვამი. ხელთ ვიგდეთ 31 ქვემეხი, 70 ტყვიამფრქვევი, 16 ნაღმსატყორცნი და 30 ავტომანქანა. წამოყვანილია ტყვეები.

• • •

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები სწრაფი დარტყმით შეიჭრნენ ქალაქ ვინიცის სამხრეთ რაწილში. ჩვენმა სხვა ნაწილებმა დაიკავეს ვინიცის რკინიგზის სადგური და აღმოსავლეთი განაპირა უბანი. ქუჩებში გამართული გაფთრებული ბრძოლების შემდეგ გერმანელებმა სასწრაფოდ დაიხიეს სამხრეთ ბუგს იქით, მდინარეზე გადასვლის შემდეგ ააფეთქეს ხიდები და გამაგრდნენ ქალაქის დასავლეთ ნაწილში, მდინარის გაღმა. მოწინააღმდეგე, რომელმაც ხელსაყრელი პოზიციები დაიკავა, ვარაუდობდა, რომ დიდი ხნით შესძლებდა ქალაქის ამ ნაწილის შენარჩუნებას. მაგრამ ჰიტლერელები ანგარიშში მოსტყუვდნენ. საბჭოთა ჯარებმა გადალახეს სამხრეთი ბუგი ვინიცის ჩრდილო-დასავლეთით, შემოვლითი მანევრი მოახდინეს და დაიკავეს სლობოდა სტრიჟაველაია. გ

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია

ადამიანი საქართველოს სსრ 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენებიდან

დეპუტატ კ. მ. თარგამაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ ახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1944 წლის ბიუჯეტი და 1940, 1941, 1942 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიში ნათლად ასახავს საქართველოს მშრომელთა თავდადებულ ბრძოლას სამშობლოს დაცვის საქმეში.

ჩვენს ძლევამოსილ ქვეყანაში ფინანსები უდამ იყო და განსაკუთრებით ომიანობის პერიოდში არის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვის, მათი განმტკიცების, ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და კულტურის შემდგომი ზრდისა და აღმავლობის მძლავრი იარაღი.

1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 1.174.601 ათასი მანეთის რაოდენობით არის შედგენილი და მთლიანად შეესაბამება იმ ამოცანებსა და მიზნებს, რომლებიც დასახულია საქართველო ხალხის წინაშე სამამულო ომის პირობებში.

გასული 1940, 1941 და 1942 წლების ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლები ნათლად ასახავენ იმ უდიდეს მუშაობას, რომელიც საქართველმა ხალხმა ჩაატარა წითელი არმიის დასახმარებლად დიდი სტალინის საუკეთესო ხელმძღვანელობით ამხანაგ ლავრენტი ბერიას და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს რესპუბლიკის თავრობის ხელმძღვანელობით. საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად ქართველ ხალხს სიხარულით აღავსებს დიდი სტალინის სიტყვები, რომ: „ზურგში საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან ერთად მევა ისტორიაში, როგორც ხალხის უმაგალითო გმირობა სამშობლოს დასაცავად".

საბჭოთა ადამიანების მხრივ წითელი არმიისადმი დახმარების ერთ-ერთი საოცესო გამოხატულებაა სამშობლოს დამცველთა ოჯახების ზრუნვა და მათთვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა. როგორც ამხანაგი სტალინმა აღნიშნა, მსოფლიოში არსად ისე არ უყვართ თავისი ჯარი და ისე არ ზრუნავენ მასზე, როგორც ჩვენში.

ჩვენში არმია უყვარს ხალხს, პატივს სცემს და ზრუნავს მასზე. სწორედ ამ უდიდესი სიყვარულის შედეგია ფრონტელთა ოჯახებზე მამობრივი ზრუნვა და მათდამი დახმარება.

ჩვენი სამშობლოს დამცველთა ოჯახები ატარიასა და მთავრობის სისტემატური და განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების საქმეს სახელმწიფო ბიუჯეტი ჯერეოვან ადგილს უთმობს, რაც ნათლად სჩანს იქიდან, რომ ომის გამოცხადებიდან მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე სამხედრო მოსამსახურეთა მხოლოდ რიგითი და უმცროს უფროსმოსამსახურეთა ოჯახებზე სახელმწიფოს მიერ გაცემულია 497 მილიონი მანეთი სახელმწიფო დახმარებისა და პენსიების სახით. გარდა ამისა, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები სარგებლობენ მთელი რიგი შეღავათებით. მარტო 1943 წელს საოფლო-სამეურნეო გადასახადისგან განთავისუფლებული იყო 136.841 ოჯახი, რომლებსაც უნდა გადეხადათ 89.528.300 მანეთი. მილიონებით გამოიხატება აგრეთვე ის შეღავათები, რომლებითაც სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები სარგებლობენ სხვადასხვა სახის გადასახადის გამოღებისას, როგორიცაა: ეზის ქირა, სწავლის ქირა, სამხედრო გადასახადი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარება და სხვ.

ჩვენი სამშობლოს დამცველთა ოჯახებზე ზრუნვა არ ამოიწურება იმ უაღრესად დიდი დახმარებით, რასაც ისინი იღებენ სახელმწიფოსაგან შეღავათების, პენსიებისა და დახმარების სახით. ამას ემატება სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი სახალხო სახალხოდეობრივი ზრუნვა და დახმარება. მარტი 1943 წელს საქართველოს მშრომელებმა ოჯახურ ჩაატარეს ჩვენი სამშობლოს დამცველთა ოჯახების დახმარების კვირეული. ჩვენი ბალის პატრიოტული მოქმედების შედეგად სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების ფონდში შეგროვებულ იყო:

ხორბალი	2.228.874	კგრ
კარტოფილი	204.372	„
ლობიო	37.794	„
ცხიმეული	3.584	„
სხვადასხვა პროდუქტები	96.998	„

აქედან დარიგებულია უფასოდ ფრონტელთა ოჯახებზე:

ხორბლეული	1.021.174	კგრ
კარტოფილი	93.230	„
ლობიო	18.140	„
ცხიმეული	1.940	„
სხვადასხვა პროდუქტები	64.672	„

ამჟამად საქართველოს თითქმის ყველა რაიონში დაგროვილია ასეთ ტონობით სხვადასხვა პროდუქტები, რაც მთლიანად მიმართულია ფრონტელთა ოჯახებს.

1943 წ. საქართველოს 39 რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა გეგმის ზეგით დასთესეს 1.250 ჰექტარი მიწა; მთელი მიღებული მოსავალი აგრეთვე ხმარდება სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს. მოწინავე კოლმეურნეობათა ეს შესანიშნავი წამოწყება მიმდინარე წელს კიდევ უფრო ძლიერდება და, მიუხედავად იმისა, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანია ჯერ არ დამთავრებულა, მთელ რიგ რაიონებს საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ამ მიმართულებით.

ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად შექმნილია აგრეთვე საზოგადოებრივი ფულადი ფონდი. მარტი 1943 წელს შეგროვებული თანხები 14 მილიონ მანეთს შეადგენს. აქედან ერთდროული ფულადი დახმარება მიეცა 30 ათასამდე ოჯახს 6 მილიონი მანეთის რაოდენობით. მხოლოდ გასული წლის განმავლობაში სამხედრო მოსამსახურეთა 173 ოჯახს აუშენეს ახალი საცხოვრებელი სახლი, 2.647 ოჯახს მიეცა ახალი საცხოვრებელი ბინა, 11.491 ოჯახს შეუკეთდა ბინა, ხოლო 3.428 ოჯახს მიეცა საშენი მასალა ბინების შესაკეთებლად. სამხედრო მოსამსახურეთა 800-მდე ოჯახს, რომლებსაც ძროხები არ ჰყავდათ, უფასოდ მიეცა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ პირუტყვი, დაურგვა 952 ტონა საქონლის საკვები. გარდა ამისა. სამხედრო მოსამსახურეთა ათასობით ოჯახები მიმაგრებულია მათთვის სპეციალურად გახსნილ სამრეწველო და საყოფაცხოვრებო სახელოსნოებზე, სადაც ისინი მთელი რიგი უპირატესობით სარგებლობენ.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, ქალაქისა და რაიონის აღმასკომების თავმჯდომარეები, სასოფლო საბჭოების და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებების დირექტორები, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები და ქარხკომების თავმჯდომარეები პირადად ხელმძღვანელობენ ფრონტელთა ოჯახების დახმარებისათვის გასატარებელ ღონისძიებებს და ყოველმხრივ დახმარებას უწევენ მათ.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების საქმეში აგრეთვე გასულ წელს მთავრობის დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბებულმა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებებმა.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველო და განყოფილებები ომიანობის რთულ პირობებში ჩამოყალიბდა. მათ აღრიცხვაზე აიყვანეს სამხედრო მოსამსახურეთა ყველა ოჯახი და ითითოეული მათგანი უზრუნველყვეს კანონით გათვალისწინებული დახმარებებით, პენსიებითა და შეღავათებით. ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო სოციუზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მიერ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარებებისა და პენსიების დანიშვნის საქმეში, აღჭამად ძირითადად გამოსწორებულია.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების აღრიცხვის შედეგად გამოვლინებულ იქნა ისეთი ოჯახები, სადაც მხოლოდ მოხუცი მშობლები და წვრილშვილიანი დედები ცხოვრობენ. ისინი განსაკუთრებულ აღრიცხვაზე ერიან აყვანილნი და მათ სისტემატური დახმარება ეწევა.

წითელი არმიისადმი დახმარება და ფრონტელთა ოჯახებზე ზრუნვა საყოველთაო-სახალხო საქმედ გადაიქცა. ეს ზრუნვა არ ამოიწურება ფრონტელთა ოჯახებისათვის ერთდროული ან პერიოდული დახმარების გაწევით. დიდი ყურადღება ექცევა ამ ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუდმივი ბაზის შექმნას. ამ მიზნით მარტო 1943 წელს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებების მიერ 15 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრები მოწყობილ იქნენ სხვადასხვა სამუშაოზე. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებებმა ამ საბჭოთა ოჯახებზე 1941 წლამდე წელიწადში 218 ათასი მანეთი იხარჯებოდა, ხოლო 1944 წელს მათზე დაიხარჯება 743.000 მანეთი. ომამდე რესპუბლიკაში იყო უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა სამი მიმღებ-განმანაწილებელი 110 ბავშვისათვის, 1944 წლისათვის მოქმედებს 5 მიმღებ-განმანაწილებელი 350 ბავშვისათვის. მიმღებ-განმანაწილებლებზე ომამდე 604 ათასი მანეთი იხარჯებოდა, ხოლო 1944 წელს კი მათ შესანახად ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1.605.000 მანეთი.

უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები საბავშვო დაწესებულებებში, გარდა მშობლიური მზრუნველობისა, იღებენ სწავლა-განათლებას და ამ დაწესებულებებთან ჩამოყალიბებულ სახელოსნოებში ითვისებენ შრომითს ჩვევებს. გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკაში მშრომელთა ოჯახების მიერ პატრონატის წესით აღსაზრდელად აყვანილია 2.340 ბავშვი. უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მოვლა-აღზრდის საქმეში სახელმწიფოს ძიერ გაღებულ დიდ თანხებს ემატება აგრეთვე მათ მიმართ ხალხის მზრუნველობა. ამ მხრივ შესანიშნავია საჩხერის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც თავის ხარჯზე ზრდის უდედმამოდ დარჩენილ 30 ბავშვს. ქ. ქუთაისში და წყალტუბოს რაიონში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებებმა ფრონტელთა 200-მდე ბავშვს დაუნიშნეს სტიპენდია ორასაბიუჯეტო სახსრებიდან.

ომის წლებში დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე სახელოსნო, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა და რკინიგზის სასწავლებლების ქსელის გაფართოებას; სულ ამ სასწავლებლთა რიცხვი საქართველოში უდრის 24-ს და მათში გაერთიანებულია 14 ათასამდე მოზარდი. აღნიშნულმა სასწავლებლებმა 1941, 1942 და 1943 წლებში ჩვენს მრეწველობას მისცეს 20 ათასამდე ხელოსანი სპეციალისტი და მათ შორის დღეს ბევრია სტახანოველი და მოწინავე ბრიგადირი.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული აგრეთვე ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. მიმდინარე სესიაზე დამტკიცებულად წარმოდგენილ 1944 წლის ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხებია გათვალისწინებული ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე. რესპუბლიკაში ირიცხება ბავშვთა 28 ამბულატორია, მათ შესანახად 1944 წელს გათვალისწინებულია 2.730.200 მან., 8 ბავშვთა საავადმყოფო, რომლებზეც 1944 წელს დაიხარჯება 3.501.900 მან., 3 ბავშვთა სანატორიუმი, რომელთა შესანახად ყოველწლიურად იხარჯება 791.500 მანეთი. ამჟამად 152 საკონსულტაციო წერტილი და მათ შესანახად 1944 წ. დაიხარჯება 6.519.300 მან. რესპუბლიკაში მოქმედ 11 რძე-პროდუქტების საშარეულის შესანახად 1944 წელს დაიხარჯება 437.800 მანეთი.

1943 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქ. სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით რესპუბლიკის საუკეთესო აგარაკებზე, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გატარებული იქნა 30 ათასამდე ბავშვი.

მიუხედავად ყველა ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ საბავშვო დაწესებულებათა მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. საჭიროა საქართველოს ჯანსახკომმა და საქართველოს განსახკომმა მეტი კონკრეტული ხელმძღვანელობა გაუწიონ საბავშვო დაწესებულებათა მუშაობას და დროულად გამოასწორონ საბავშვო დაწესებულებების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

მიმდინარე წლის ბიუჯეტი სახალხო განათლების ხარჯით 547.364.000 მანეთის ითვალისწინებს. აქედან 80 პროცენტამდე იხარჯება დაწყებითის, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებზე, რაც მოწმობს იმ უდიდეს ყურადღებას, რომელსაც ჩვენი საბჭოთა მთავრობა ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს უთმობს. ზოგიერთი რაიონისკომი და განსაკუთრებით განათლების განყოფილებები ვერ იყენებენ ამ შესაძლებლობებს და სკოლებში ჩაბმული არ ჰყავთ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი. შემოწმებისას აღმოჩნდა აგრეთვე, რომ მთელ რიგ რაიონებში (ყვარლის, ყარაიის, ქარელის, ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონი და სხვ.) ადგილი აქვს სკოლიდან ბავშვების განთესვის ფაქტებს, რაც ყოველად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

რაიონისკომებმა და განათლების სახალხო კომისარიატის ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ ის დიდი დახმარება, რომელსაც განსაკუთრებით ფრონტელთა შვილებს უწევს ჩვენი პარტია და ხელისუფლება. ეს დახმარება მრავალმხრივია. ასე, მაგალითად, ფრონტელთა ბავშვების ტანსაცმელ-ფეხსაცმლით უზრუნველყოფის მიზნით ამ მოკლე ხნის განმავლობაში მსუბუქი მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების სისტემაში შემავალმა წარმოებებმა და სარეწაო კოოპერაციის არტელებმა 3 გამოსასვლელი დღე იუშავეს და გეგმის ზეგით გამოუშვეს 10 ათასი წყვილი ფეხსაცმელი და 50 ათასი ცალი ტანსაცმელი. შემდეგშიც ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სამამულო ომის მძიმე პირობებშიც საბჭოთა ბავშვებს მზრუნველობა დასწაფალა არ მოაკლდეს.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-7 სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1944 წლის ბიუჯეტი სავსებით სწორად ითვალისწინებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ქართველმა ხალხმა უნდა გაატაროს გერმანელ მტაცებლთა უმოწყალეს ვადაში გასანადგურებლად, ამიტომ მხარს ვუჭერ იმ დეპუტატების წინადადებას, რომლებიც მოითხოვენ მის დამტკიცებას.

ამხანაგო დეპუტატებო! ახლოდება ჟამი სახიზარი მტრისაგან ზეციერ ჯვრისა ყველა იმ ბოროტმოქმედებისათვის, რაც ჰიტლერელმა ყაჩაღებმა საბჭოთა მიწა-წყალზე და ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში ჩაიდინეს. ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია სასიკეთილო ლახვარს სცემს და მალე საბოლოოდ გაანადგურებს მტრის ურდოებს. ჩვენი ვალია ამ ბრძოლაში ყოველმხრივ დავეხმაროთ ჩვენს გმირ წითელ არმიას.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები წარმატებით შეასრულებენ 1944 წლის რთულ ამოცანებს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხს, რომელიც ერთსულოვნად აღსდგა თავისი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და სიცოცხლესაც კი არ იშურებს ჩვენი საბოლოო გამარჯვებისათვის!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო და საყვარელ შვილს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას! (ტაში).

გაუმარჯოს დიდ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ ლ. ვ. ჩხიკვიშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილია საქართველოს სსრ რესპუბლიკის 1944 წლის ბიუჯეტი.

სესიას ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვა უხდება ისტორიულ დღეებში, როდესაც ჩვენი გმირი წითელი არმია უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ძლევამოსილ შეტევას ეწევა და დამარცხებას აგებინებს ჰიტლერელ ავაზაკებს, ერეკება მათ შორს დასავლეთისაკენ და აახლოებს ჟამს, როდესაც მტერმა პასუხი უნდა აგოს საბჭოთა მიწა-წყალზე მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათათვის.

საბჭოთა ქვეყნის გმირი ხალხი, აღფრთოვანებული წითელი არმიის ყოველდღიურად მზარდი წარმატებებით, ყველაფერს აკეთებს ფრონტისათვის.

დიდი სტალინის ისტორიული მოწოდების საფუძველზე ჩვენმა ქვეყანამ მთლიანად გარდაქმნა მთელი თავისი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი დაუმორჩილა ფრონტის ინტერესებს და გერმანელ დამპყრობთა განადგურების საქმეს.

ომმა გვიჩვენა საბჭოთა სახელმწიფოს ზურგისა და ფრონტის მტკიცე ერთიანობა, ომმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა ხალხს, რომელმაც იგემა თავისუფალი შრომა, შესწევს უნარი გაბრძოლებულ ურტყას მტერს, შესწევს უნარი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად ჩაიდინოს საგმირო საქმეები და თავდადებულად იმუშაოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ჩვენი ხალხები, პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალულნი, სამამულო ომის დღეებში კიდევ უფრო შემჭიდროვდნენ და დაირაზმნენ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო.

როცა ვერაგი მტერი 1942 წელს კავკასიის მთის კალთებს მოადგა და ლამობდა ხელში ჩაეგდო საქართველოს სიმდიდრენი, მაშინ დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლ. პ. ბერია ამხანაგ სტალინის დავალებით კავკასიაში ჩამოვიდა, დარაზმა ამიერკავკასიის ხალხთა ძალები და მოაწყო მტრის განადგურება კავკასიის მისადგომებთან.

საქართველოს მშრომელნი, აღზრდილნი ამხ. ლ. პ. ბერიას მიერ, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ომის პირველი დღიდანვე აღსდგნენ სამშობლოს დასაცავად. მიუხედავად ომის ძნელი პირობებისა, უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამის შედეგია, რომ ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნნენ საქართველოს კოლმეურნეები, კოლმეურნე ქალები და სოფლის მეურნეობის მუშაკები სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების საქმეში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ეს მაღალი შეფასება და ჯილდო აავალებს საქართველოს მშრომელებს გაათკეცებული ენერგიით იმუშაონ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით ჩოხატაურის რაიონის საბჭოთა და პარტიულმა ორგანიზაციებმა გარდაჭრეს მუშაობა სამამულო ომის ვითარების შესაბამისად და ამის შედეგად რაიონს სათანადო წარმატებები აქვს. 1941 წლის გაზაფხულზე ჩვენ დავთესეთ 4.023 ჰექტარი მარცვლეული კულტურები და 175 ჰექტარი კარტოფილი, ხოლო 1943 წელს—5.550 ჰექტარი. გადიდდა კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი. თუ 1941 წელს რაიონის კოლმეურნეობებში ფულადი შემოსავალი 7.640.000 მანეთს უდრიდა, 1943 წელს მან 13.126.000 მანეთს მიაღწია.

რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსთვის ჩაის ჩაბარების გეგმები. ჩაის ფაბრიკამ 1941 წ. პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 120 პროცენტით, 1942 წ.—119 პროცენტით, ხოლო 1943 წელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 417.000 კგრ ჩაისა, სახელმწიფოს ჩააბარა 462.000 კგრ და გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა მეცხოველეობის განვითარების დარგში. 1941 წელს მსხვილფეხა საქონლის სულადობა რაიონში უდრიდა 3.909-ს, ხოლო 1943 წელს—5.284 სულს, წლიური დავალება შესრულებულ იქნა 100 პროცენტით. ასევე გაიზარდა ღვრილფეხა საქონლის სულადობაც. თუ 1941 წელს იგი 2.592 სულს შეადგენდა, 1943 წელს უდრიდა 3.265 სულს.

სერიოზული ამოცანები დგას ჩვენს წინაშე სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე 1944 წელს. საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს ჩაის, ციტრუსოვანი კულტურების, ვენახისა და თამბაქოს მოვლის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს, იმის საფუძველია, რომ მოცემული დავალება შესრულებულ იქნას ბირნათლად, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს კოლმეურნეობებს და მილიონერ კოლმეურნეობებად გადააქცევს მათ.

1941, 1942 და 1943 წლებში რაიონს მიღწეული 10.500 ცალი თბილი ტანსაცმელი და თეთრეული. გარდა ამისა, ამავე ხნის განმავლობაში შეგროვდა და წითელ არმიას საჩუქრად გაეგზავნა 41,5 ტონა ღვინო და არაყი, 900 კილოგრამი თაფლი, 2 ტონა თხილი და ნიგოზი, 15 ტონა კარტოფილი და 12 ტონა ხილი. ასევე გაეგზავნა წითელ არმიას საჩუქრად ხორცი, ყველი, კვერცხი და სხვა პროდუქტები.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს სსრ რესპუბლიკის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მკაფიოდ ასახავს იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას ომიანობის პირობებში. წარმოდგენილ ბიუჯეტში ჩვენი რაიონისათვის გათვალისწინებულია 6.383 ათასი მანეთი, რაც საგრძნობლად აღემატება წინა წლების ბიუჯეტებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხიდან 4.112.700 მანეთი ხმარდება განათლების საქმეს. ამჟამად პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობის შედეგად რაიონში გვაქვს 54 საშუალო, არასრული საშუალო და დაწყებითი სკოლები, რომლებშიც სწავლობს 7.028 მოსწავლე. ამ სკოლებში მუშაობს 437 მასწავლებელი. პარტიისა და ხელისუფლების მიერ ჩვენთვის დაკისრებული მოვალეობა — გაგვიტარებინა პირველი შვიდი კლასის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლება, დღეისათვის მთლიანად შესრულებულია.

ასევე დიდ მზრუნველობას იჩენენ პარტია და ხელისუფლება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ჩვენს რაიონში ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე ხარჯად 1.360.900 მანეთი. ეს საკუთრივ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

ამხანაგო დეპუტატებო! 1944 წლის ბიუჯეტი, რომელიც შემოტანილია სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად, საკმაოდ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც დასმულია ჩვენი ქვეყნის წინაშე დიდი სამამულო ომის ვითარებაში. ეს ბიუჯეტი გამოხატავს საქართველოს ყველა რაიონის, ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკების მშრომელთა ინტერესებს, იგი სავსებით უზრუნველყოფს სამხედრო-თავდაცვითი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების გატარებას და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

სავსებით ეფერადება აქ გამოსული დეპუტატების აზრს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც საბიუჯეტო კომისიამ შეიტანა, მოწონებულ და დამტკიცებულ იქნას.

ჩოხატაურის რაიონის მშრომელნი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად ვიბრძოლებთ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრისათვის — 1944 წლის ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს დიდი სტალინის თანამებრძოლს, ქართველი ხალხის სახელოვან შვილს ამხანაგ ლ. პ. ბერიას!

გაუმარჯოს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს დიდ სტალინს! (ტაში).

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. გ. მ. გორდეზიანის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! უკვე მესამე წელი სრულდება, რაც საბჭოთა ხალხი სამამულო ომს აწარმოებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ომმა სასტიკი გამოცდის წინაშე დააყენა როგორც საბჭოთა კავშირის ეკონომიკა და მრეწველობა, ისე მისი ფინანსები. ამ გამოცდას საბჭოთა კავშირმა ბოლშევიკური პარტიის, ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ღირსეულად გაუძღო.

ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია, ხალხთა ბელადის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით გამანადგურებელ ლახვარს სცემს მტრის ჯარებს, ანადგურებს მათ და ათავისუფლებს საბჭოთა მიწა-წყალს გერმანელ დამპყრობთაგან.

1940, 1941, 1942 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულება, რაც წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად, ასახავს ჩვენი რესპუბლიკის უდიდეს გამარჯვებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი მძლავრი იარაღი ყოველთვის იყო და არის ფინანსები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი 1944 წლის ბიუჯეტის პროექტი გამოხატავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ გაძლიერებას სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში, საბჭოთა ხალხების განუყრელ მეგობრობას, ერთიანობას და მტერზე გამარჯვებისათვის ერთგულ ნებისყოფას.

ხამამულო ომის დაწყების პოზენტიდანვე მთელი საბჭოთა ქვეყნის ზურგის მუშაკნი თავდადებული შრომით სულ მეტსა და მეტ დახმარებას უწევენ ფრონტს და აღწევენ ახალ-ახალ გამარჯვებას გმირი წითელი არმიისათვის საჭურველს, საომარი მასალის და ყოველგვარი აუცილებელი პროდუქციის გამოშვებაში.

საქართველოს სსრ ადგილობრივმა მრეწველობამ სამამულო ომის პირობების შესაბამისად გარდაჭრეს თავისი მუშაობა და ფრონტისა და ზურგის ინტერესებს დაუკავშირა იგი.

სპეციალური პროდუქციის დამზადებაზე გადასვლამ და ამავე დროს სხვა ახალ შეკვეთათა შესრულებამ ჩვენს წინაშე დააყენა ბევრი რიგი ქარხნების დაზგებით გაძლიერების, დანადგარების გადაჯაჭვულების, ტექნოლოგიური პროცესების შეცვლისა და სათანადო კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხები, რომლებიც ადგილობრივი მრეწველობის კოლექტივმა წარმატებით გადასჭრა.

ამის შედეგად ადგილობრივი მრეწველობა 1941, 1942 და 1943 წლების განმავლობაში სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. მან სამშობლოს 1941 წელს 70 მილიონი მანეთის პროდუქცია მისცა, 1942 წელს—74 მილიონ მანეთის, 1943 წელს კი—88,5 მილიონი მანეთისა და ამასთან ყოველწლიურად ზრდიდა სპეციალური პროდუქციის ხვედრითს წონას საერთო პროდუქციის გამოშვებაში.

1942 წელს გამოშვებულია რვაჯერ მეტი სპეციალური პროდუქცია, ვიდრე 1941 წელს, ხოლო 1943 წელს—11-ჯერ მეტი.

სამამულო ომის პერიოდში ადგილობრივმა მრეწველობამ, გეგმით გათვალისწინებული 175.400.000 მანეთის პროდუქციის ნაცვლად, გამოუშვა სულ 197.300.000 მანეთის პროდუქცია, აქედან ფართო მოხმარების საგნები 92.200.000 მანეთისა. 1943 წელს კი ფაქტიურად გამოშვებულია 88.5 მილიონი მანეთის პროდუქცია, ე. ი. 45,8 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს, როდესაც გამოშვებულ იქნა 60.700.000 მანეთის პროდუქცია.

1943 წელს ფართო მოხმარების საგნების გამოშვების გეგმა შესრულებულ იქნა 29 პროცენტის გადაჭარბებით — გამოშვებულია 35,2 მილიონი მანეთის ღირებულების საქონელი, ნაცვლად 1942 წლის 28 მილიონი მანეთისა. შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულებასთან ერთად გადიდდა პროდუქციის რაოდენობაც.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა კარგად შეასრულეს ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე. 1942 წელს ფულადი სახსრების დაგროვების შედეგად ბიუჯეტში შეიტანეს 9.954.000 მანეთი, 1943 წელს კი — 11.947 ათასი მანეთი.

1943 წელს კარგად მუშაობდნენ 26 კომისრის სახელობის ქარხანა, რომელმაც, ნაცვლად 1.766.000 მანეთის დაგროვებისა, ფაქტიურად დააგროვა 2.604.000 მანეთი, ცელულოიდის ნაწარმთა ფაბრიკა, რომელმაც, ნაცვლად 1.950.000 მანეთისა, დაგროვების გეგმა შეასრულა 2.260.000 მანეთის რაოდენობით და მუსიკალური და სათამაშოების ფაბრიკა, რომელმაც ნაცვლად 218 ათასი მანეთისა, 452.000 მანეთი დააგროვა. კარგად მუშაობდა აგრეთვე სა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია

კამათი საქართველოს სსრ 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ გ. ი. მიხანაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! 1941 წლის 3 ივლისს ოცდა გამოსვლაში რადიოთი ჩვენი საყვარელი ბელადი ამხანაგი **სტალინი** მოგვიწოდებდა მოლიანად გარდაგვექმნა ჩვენი მუშაობა ომიანობის ყაიდაზე, ყველაფერი დაგვექვემდებარებინა ფრონტის ინტერესებისათვის, ეკონომიკა მტერზე გამარჯვებისათვის. თავდაცვის სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის — ამხანაგ **სტალინის** 3 ივლისის გამოსვლა და 7 ნოემბრის გამოსვლები უდიდეს დამრაზმავად გადაქცია საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში.

ჩვენ გმირი წითელი არმია წარმატებით ამარცხებს უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი **სტალინის** genialურ გეგმებს და ყოველდღიურად ათავისუფლებს ჩვენს წმიდათა-წმიდა მიწა-წყალს ფაშისტთა ურდოებისაგან. თუ დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უმაღლესი საბჭოს VII სესიას მუშაობა უნდა სამამულო ომის ისეთ ეტაპზე, როცა ევროპაში მეორე ფრონტის არ არსებობის მიუხედავად მომხდარია ძირფესვიანი გარდატეხა ომში წითელი არმიის სასარგებლოდ და [illegible] განთავისუფლებულია მტრის შიერ [illegible] ოკუპირებული ჩვენი ტერიტორიის [illegible] მეტი, — ამას ჩვენი ხალხი [illegible] უმადლოდს ჩვენს genialურ მხედართმთავარს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ **სტალინს**.

1942 წლის ზაფხულში ამიერ-კავკასიას და [illegible] საქართველოს რესპუბლიკას ემუქრებოდა უდიდესი საფრთხე, ფაშისტთა ურდოები კავკასიის მთის კალთებში შემოიჭრნენ. ამ [illegible] კრიტიკულ მომენტში დიდმა **სტალინმა** მტრის შეჩერების, შემდგომი გაანადგურებისა და უკუგდების ორგანიზაციისა[illegible] კავკასიაში მოსვლინა ნაცადი **სტალინელი**, ჩვენი ხალხის საამაყო და საყვარელი [illegible], დიდი **სტალინის** მოწაფე და თანამებრძოლი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია**. ამხანაგმა ბერიამ, ამიერ-კავკასიის ხალხებს, ისე როგორც მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, სამამულო ომშიც დიდი ამაგი დასდო. [illegible] დარაზმა ამიერ-კავკასიის და საერთოდ [illegible] ხალხები, და დიდი რუსი ხალხის [illegible]ით, ჩვენი წითელი არმიის ნაწილებ[illegible] თავდადებული ბრძოლით მტერი განადგურებულ და უკუგდებულ იქნა კავკასიიდან. [illegible] არმიის ისტორიული გამარჯვებანი [illegible]ძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ ჰიტლერელა წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგა მთელი ჩვენი ხალხი, რომელიც აქტიურ [illegible]მედის დახმარებას უწევს ფრონტს მტრის [illegible]ურებულ სამშეობლოში.

ამხანაგო დეპუტატებო! დიდი ბელადის [illegible] **სტალინის** სამშობლოს—გორის რაიონის [illegible]ნომელები, ისე როგორც მთელი რესპუბ[illegible] მშრომელები, მთელი ენერგიით მუშა[illegible] ომისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი [illegible]ბარება გაუწიონ ფრონტსა და ქვეყანას. [illegible]ოდავად ომიანობის დროის სიძნელეები[illegible], გორის რაიონში სოფლის მეურნეობა წინა ზრდა-განვითარებას განიცდის. რაიონის მეშვი, კოლმეურნეები და ინტელიგენ[illegible] მთელი ენერგიის დაძაბვით მუშაობენ [illegible]თვის, რომ უფრო ამაღლონ შრომის ნაყოფიერება, განამტკიცონ შრომის დისციპლინა და უფრო მეტი დახმარება გაუწიონ ჩვენს [illegible] არმიას მტრის განადგურებისა და [illegible] ტერიტორიიდან განდევნის საქმეში [illegible]ზე რაიონში ყოველწლიურად ითესებოდა 26-27.000 ჰექტარი, ყველა სახის კულტურე[illegible]ი. 1943 წელს კი რაიონის კოლმეურნეობებ[illegible] დასთესეს 35.000 ჰექტარი, ანუ 8 ათასი [illegible]ით მეტი. გაცილებით უკეთესია დამუ[illegible]ების ხარისხიც, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა მოსავლიანობა. მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის გეგმები [illegible]ონის კოლმეურნეობებმა საგრძნობი გადა[illegible]ებით შეასრულეს. მაგალითად, მსხვილფეხა ძროხიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 108 პროც., ცხვრისა და [illegible]ისა—118 პროცენტით, ღორისა—101 პროცენტით და ცხენისა—100,3 პროცენტით. წარმატებით შესრულეს რა მარცვლეული კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილის მოყვანისა და [illegible]ების განვითარების გეგმები, რაიონის კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფო ვალდებულებანი. მაგალითად, დამზადების 1943 წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. სახელმწიფოდ [illegible]ებულებათა მოხდის შემდეგ კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოს [illegible]ეს 2.200 ცენტნერი მარცვლეული. [illegible] როგორც სოფლის მეურნეობის მშრომელები, ქალაქის მრეწველობის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებიც თავდადებით [illegible] ფრონტის დასახმარებლად. როგორც [illegible]ბილია, ჩვენი ქალაქი არ ხასიათდება [illegible] დიდი დარგებით, მაგრამ მთავარი საწარმოები, რომლებიც ჩვენ გვაქვს [illegible], წარმატებით ასრულებენ თავის საბრძოლო-საფინანსო გეგმებს და თავდადებული [illegible] ეხმარებიან ჩვენს გმირ წითელ არმიას. კაძის სახელობის გორის საკონსერვო ქარხანამ 1943 წელს საწარმოო დავალება 103 [illegible]ენტით შეასრულა და ჩვენს წითელ არმიას მიაწოდა 7 მილიონ კილოგრამზე მეტი [illegible], თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალური დავალება კი შესრულებულია 200-ზე მეტი პროცენტით. ქარხანამ გასულ წელს დაგროვების წესით სახელმწიფოს [illegible] 200.000 მანეთზე მეტი. დიდი გადამეტებით შესრულა დავალება გორის ხეტყის [illegible] ქარხანამაც.

[illegible] ომის წლებში გორის რაიონის [illegible]ობამ დიდად გაძლიერა ფულადი [illegible] ომის საჭიროებისათვის, მაგალითად, თუ 1940 წელს რაიონში გაგრცელებული იყო სახელმწიფო სესხის 2.400.000 მანეთის ობლიგაციები, სამამულო ომის წლებში [illegible] ეს თანხა ყოველწლიურად იზრდებოდა: 1943 [illegible] რაიონის მშრომელებმა მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის ობლიგაციებზე ხელი მოაწერეს 18 მილიონი მანეთის რაოდენობით. აქედან კოლმეურნეთა ხელის მოწერა [illegible] 15 მილიონ მანეთს, საიდანაც კოლმეურნეებმა 14 მილიონი მანეთის ობლიგაციები ნაღდ ფულად შეიძინეს. ნაღდ ფულად [illegible] იქნა აგრეთვე 5 მილიონი მანეთის [illegible] ბილეთები. რაიონის მოსახლეობამ [illegible]ულებით შეაგროვა სატანკო კოლონა [illegible] „კოლმეურნის“ და ავიაესკადრილია „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად 9.039 [illegible] მანეთი. აქროვად, გორის რაიონის [illegible] მშრომელებმა სრული ნებაყოფლობის საფუძველზე მარტო 1943 წელს სახელმწიფო ბიუ[illegible] თავისი დანაზოგებიდან ნაღდ ფულად [illegible] 32 მილიონ მანეთზე მეტი. რაიონში [illegible]ბებით არის შესრულებული გასული [illegible] ყველა სახის გადასახადთა და გამოსა[illegible]თა სახელმწიფო გეგმები.

ამხანაგო დეპუტატებო! გორის რაიონის [illegible] 1943 წელს გათვალისწინებული იყო 11.100.000 მანეთის რაოდენობით. შესრულება [illegible] 11.423.000 მანეთს, რაც გეგმის 103 [illegible]ენტს შეადგენს. როგორც ვხედავთ, [illegible] გადაჭარბებით არის შესრულებული. [illegible] მის შესრულებას თან ახლდა მთელი [illegible] სერიოზული ნაკლოვანებანი. მართალია [illegible] მომხსენებელი, დეპუტატი ამხ. ცომაუ[illegible], რაც აღნიშნავდა, რომ ხშირად ადგილობრივი ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ბიუჯეტის შესრულებას, [illegible] გამოც ადგილი აქვს თანხების არასწორ [illegible] ხარჯვის შემთხვევებს ან უმიზნო გადახარჯვას. 1943 წელს, გორის რაიონმა კომის [illegible]ებულ ორგანიზაციათა და წარ[illegible] ბიუჯეტის შესრულების შემოწმებამ [illegible] სერიოზული ნაკლოვანებები გამოავ[illegible]. ზემეტი შტატებისა და არამიზნობრივად [illegible] ხარჯების გამო ამ ორგანიზაციებს [illegible]ონდათ გადახარჯვა. წლის მეორე ნახევარში საქმე შედარებით გამოსწორდა. მოუქნელი მეშაობის გამო სერიოზული გარღვევით დაამთავრა საკონსელბრუნვის 1943 წლის გეგმა საქვაჭრობის გორის განყოფილებამ, რომელსაც ამის გამო ამქამად შეწყვეტილი აქვს დაფინანსება. დიდი გარღვევით დაამთავრეს გასული წელი ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ფეხსაცმლის არტელმა „ლიახვმა“, სარეწაო კავ-

შირის არტელმა „ქართლის სამკერვალომ“ და არტელმა „გორძმენამ“, არტელმა „ლიახვმა“ წლიური საწარმოო გეგმა მხოლოდ 32 პროცენტით შეასრულა. რა თქმა უნდა, ამ წარმოებათა გეგმების შეუსრულებლობის გამო სახელმწიფოს ასეულ ათასობით მანეთი დაეკარგა. ეს და მთელი რიგი სხვა სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც ახასიათებდა ჩვენს რაიონს 1943 წლის ბიუჯეტის შესრულების საქმეში, გათვალისწინებული იქნება 1944 წლისათვის და თავიდან აქნ[illegible]ებული.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1944 წლის ბიუჯეტის პროექტი 1.174.601 ათასი მანეთის მოცულობით, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ დაფინანსებულ იქნას 1944 წელს სახალხო მეურნეობის გეგმით მოცემული ყველა ობიექტი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტი ცხადყოფს იმ უდავო ფაქტს, რომ, მიუხედავად სამამულო ომით გამოწვეული უდიდესი ბარჯებისა და სიძნელეებისა, ჩვენი სახალხო მეურნეობა და მასების სოციალურ-კულტურული მომსახურება წინ მიიწევს და საგრძნობლად იზრდება. ეს ათლად მოსჩანს 1944 წლის ბიუჯეტის 1943 წლის ბიუჯეტთან შედარებიდან. ბიუჯეტის ზრდა იმის დამადასტურებელია, რომ საკავშირო მთავრობა და ბრძენი ბელადი ამხანაგი **სტალინი** დიდ ყურადღებას აქცევენ ცალკეული რესპუბლიკების შემდგომ აყვავებას და მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა სოციალურ-კულტურულ ზრდა-განვითარებას. მე წინადადება შემომაქვს მთლიანად დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1944 წლის ბიუ[illegible]ეტი.

გორის რაიონის 1944 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილია 14.087,1 მანეთის მოცულობით, ნაცვლად 1943 წლის 11.100 ათასი მანეთისა. ეს ციფრები მკაფიოდ გამოხატავს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის ზრუნვას გორის რაიონის მშრომელებზე.

უმაღლესი საბჭოს სესიას ვთხოვ შემდეგს: როგორც მოგეხსენებათ, გორის რაიონის 1943 წლის ბიუჯეტი ათვისებულ იქნა მთლიანად. 1943 წელს ქალაქ გორის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო კომუნალური მეურნეობის ხაზით 180 ათასი მანეთი ლიმიტგადაჭრაში დანახარჯები. მომდინარე წლის ბიუჯეტში ლიმიტგადაჭრაში დახარჯვისათვის გათვალისწინებულია 200 ათასი მანეთი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომდინარე წელს ქალაქ გორის კომუნალური მეურნეობის ხაზით იქნებენ ვადაფუძებული სამუშაოთა შესასრულებელი, რომ ეს თანხა ძალიან ცოტა იქნება. მე ვთხოვ სესიას ეს თანხა გადიდებულ იქნას 500.000 მანეთამდე, ე. ი. 1944 წელს ამ ხაზით მოგვეცეს 320.000 მანეთით მეტი, კიდევ 1943 წელს გვქონდა.

შემდეგ, ადგილობრივი მრეწველობის ხაზით 1940 წელს დაიწყო აგურ-კრამიტის ქარხნების მშენებლობა, რომლებიც მოგვცემდა ყოველწლიურად 1 მილიონ აგურს და 400.000 კრამიტს. ომის დაწყებასთან დაკავშირებით მშენებლობა კონსერვირებულ იქნა, გორის რაიონს ამჟამად არ გააჩნია არც ერთი ისეთი ქარხანა, რომელიც ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფდა რაიონის მოთხოვნილებას ამშენებლო მასალებით. მე ვთხოვ სესიას აღნიშნული ქარხნების დასამთავრებლად გორის რაიონის ადგილობრივ მრეწველობას დაუმტკიცდეს 500.000 მანეთი, აგრეთვე ვთხოვ სესიას, გორის თეატრის ეზოს კეთილმოწყობისა და საკოლმეურნეო ბაზრის ახალ ადგილზე გადატანისა და კეთილმოწყობისათვის დაგეგმეტკიცოს 200.000 მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა **სტალინმა** მიმდინარე წლის 23 თებერვლის ისტორიულ ბრძანებაში აღნიშნა:

„წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევა შესაძლებელი გახდა ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საბჭოთა ადამიანების ახალი შრომითი საგმირო საქმეების მეოხებით. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა წითელი არმიის მიერ ფრონტებზე ზაფხულში მოპოვებული გამარჯვებანი განამტკიცეს ახალი საწარმოო გამარჯვებებით ზურგში... ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი თავისი გმირული შრომით და მთელი თავისი ძალ-ღონის დაძაბვით კვლავაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განუწყვეტელ ზრდას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა რაც შეიძლება სწრაფი და საბოლოო განადგურებისათვის“.

დიდი ბელადის მიერ ზურგის მუშაკთა შრომის ასეთმა მაღალმა შეფასებამ ახალი აღმავლობისათვის დარაზმა რაიონის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია. რაიონის კოლმეურნეობები ჩაბმული არიან შეჯიბრებაში 1944 წლის საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით დამთავრებისათვის. გორის რაიონის მშრომელები, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ, აღფრთოვანებულნი და დარაზმულნი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** საოქტომბრო მოხსენებით და 1944 წლის 23 თებერვლის ისტორიული ბრძანებით, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ 1944 წელს მიიღონ უხვი მოსავალი — გამარჯვების მოსავალი, რითაც ძალავერ დახმარებას გაუწევენ ჩვენს წითელ არმიას.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს დიდი **სტალინის** თანამებრძოლს ამხანაგ ლ. პ. ბერიას! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს — დიდ **სტალინს**! (ტაში).

კამათი საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ ა. მგელაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოში ორი საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის, სახელდობრ—თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შექმნის საკითხს, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემოტანილია ამ სესიის განსახილველად, განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალ გამარჯვებას მოასწავებს.

სახელმწიფოებრივ წყობილებაში ეს სერიოზული გარდაქმნები მომზადებულია ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიით.

საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შექმნის საკითხის დაყენება საბჭოთა ხალხის სამამულო ომის უაღრესად პასუხსაგებ მომენტში მოწმობს მოკავშირე რესპუბლიკების სულ უფრო და უფრო მზარდ პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ძლიერებას, საბჭოთა კავშირის ხალხთა პოლიტიკურ და მორალურ ერთიანობას, საბჭოთა სახელმწიფოს ურყევ ძალასა და ძლიერებას.

ლენინისა და **სტალინის** genialურ შექმნილმა საბჭოთა სახელმწიფომ ომის ყველა განსაცდელს გაუძლო და მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ იგი მსოფლიოში ყველაზე მტკიცე სახელმწიფოა, რომლის ზურგი, ეკონომიკა, ფინანსები, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ომის მსვლელობაში კიდევ უფრო განმტკიცდა და ურყევი ძალა გახდა.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, რაც საბჭოთა სისტემის ამ უპირატესობათაგან გამომდინარეობს, დიდი ხანია იგრძნო საზიზღარმა მტერმა იმ გამანადგურებელი დარტყმებით, რომლებიც მიაყენა მას წითელმა არმიამ და ახლაც აყენებს. ეს ძლიერება სათანადოდ შეაფასეს თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა, რომლებმაც იციან, რომ ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ ჩაშალა ჰიტლერელთა სულელური გეგმა მსოფლიოზე გბატონებისა.

გასაგებია, რომ საქმე ორი სახალხო კომისარიატის აპარატის ჩვეულებრივ ორგანიზაციის როდი ეხება. თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შექმნის კანონის მიღება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წინაშე აყენებს ახალ, კიდევ უფრო პასუხსაგებ ამოცანებს, როგორც ჩვენი დიადი და სახელოვანი სამშობლოს დაცვის საქმეში, ისე უცხო სახელმწიფოებთან საგარეო ურთიერთობის დარგშიც.

საბჭოთა საქართველოს წინაშე ამ ახალ პასუხსაგებ ამოცანათა დაყენება და მისთვის თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობის დარგში ფართო უფლებებისა და უფლებამოსილების მინიჭება იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ჩვენი რესპუბლიკა **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, საკავშირო კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის და პირადად დიდი ბელადის, მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** ზრუნვისა და ყურადღების მეოხებით გაიზარდა და განმტკიცდა პოლიტიკურად, ეკონომიურად, კულტურულად და თავის შესაბამისად ნაციონალურ განვითარებას მიაღწია.

სამამულო ომის მსვლელობაში კიდევ უფრო გამოიწრთო და განმტკიცდა ქართველი ხალხის მეგობრობა საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხთან და თავის უფროს ძმასთან — დიდ რუს ხალხთან.

ქართველ და **რუს ხალხთა** მეგობრობა, რომელსაც თავისი საუკუნოვანი ისტორია აქვს, საბჭოთა ხელისუფლების წელთა მანძილზე კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიწრთო. ომმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს დაარღვიოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, ქართველი ხალხისა და დიდი რუსი ხალხის მეგობრობა. ისინი საუკუნეთა მანძილზე სიყვარულის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი ურთიერთისადმი, სიხარულს განიცდიდნენ მეგობრული ურთიერთობით.

ქართველი ხალხი იზიარებდა რუსი ხალხის ისტორიულ განსაცდელს. ეს კარგად გამოსთქვეს ქართველმა მებრძოლებმა თავიანთ წერილში ქართველი ხალხისადმი.

წერილში ნათქვამია:

„რუსეთი ძველთაგანვე ბევრი გამოჩენილი ქართველის მეორე სამშობლო გამხდარა და ქართველებსაც არაერთხელ დაუტკიცებიათ ბრძოლის ველზე თავისი მეორე სამშობლოსადმი მამულიშვილური ერთგულება და თავდადება“.

და, პირიქით, მრავალი გამოჩენილი რუსისათვის, მათ შორის ისეთი დიდი რუსი პოეტებისათვის, როგორიც იყვნენ პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, საქართველო მეორე სამშობლო იყო. ისინი ქება-დიდებას ასხამდნენ საქართველოს მთებს და მისი შვილების მამაცობას.

ჩაიფუშა მტრის ვარაუდები საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის შუღლის ჩამოვარდნისა, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს დაშლისა.

ომმა დაგვანახვა, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი მძიმე განსაცდელის ამ დღეებში კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა საბჭოთა მთავრობის, ლენინ-სტალინის პარტიის, საყვარელი ბრძენი ბელადის და მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** გარშემო.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვის სახალხო კომისარიატის შექმნა უცილობლად შეუწყობს ხელს საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებული ძალების კიდევ უფრო განმტკიცებას. გაძლიერდება ყურადღება სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო-სპორტული აღზრდა სათანადო ტონზე დაყენებისადმი, და მთელი ჩვენი მოსახლეობა მეტად იზრუნებს ჩვენი სახელოვანი დიადი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დამცველთა მეომრებში ქართველი ხალხის მამაცური, გულადი, გმირული და სახელოვანი სამხედრო ტრადიციების აღზრდისათვის.

წითელი არმია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა საყვარელი პირშია. ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ხალხთა შვილები თანაბარი გულმოდგინეობით, თანაბარი აღტყინებით, საბჭოთა პატრიოტიზმით გამსჭვალულნი, იბრძვიან სამამულო ომის ფრონტებზე ჩვენი სახელოვანი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ქართველი ხალხი მუდამ დაუღალავად ჭრუნავდა წითელი არმიისათვის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე იგი **ლენინისა** და **სტალინის** მოწოდებით მტკიცედ და დიდი სიყვარულით მუშაობდა ქართული წითელი არმიის გაძლიერების საკითხებზე.

ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინი** ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სწერდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს—ამხანაგ სერგო ორჯონიკიძეს:

„აბსოლუტურად საჭიროა, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობაზე მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ქართული წითელი არმიის აუცილებელი გაძლიერების შესახებ, და რომ ეს გადაწყვეტილება **სინამდვილეში** შესრულდეს“.

შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძე მოიგონებდა: „...დაუყოვნებლივ განავითარეთ და გააძლიერეთ ქართული წითელი არმია. დაე ჯერჯერობით 1 ბრიგადა იყოს, დაე თუნდაც ნაკლები. 2-3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათასხუთასი კაცი კომუნისტი, რომ ეს კურსანტები (კაცები), **როცა საჭირო გახდება**, არმიად გაიშალოს,—ეს აბსოლუტურად აუცილებელია“.

„შესაძლებელია, ამხანაგმა **სტალინმა** დაუმატოს უფრო დაწვრილებით შესრულების სამხედრო-ტექნიკურ ნერხთა შესახებ“. (ვ. ი. **ლენინი**, თხზულებანი, ტომი, XXVII, გვ. 167).

ლენინის ბარათზე **სტალინმა** შემდეგი დაუმატა:

„ამხ. ლენინის ნათქვამისათვის დასამატებელი არაფერი მაქვს, ვფიქრობ, რომ სერგო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიხდებიან ამხ. ლენინის მიერ გამოთქმული ღონისძიების მთელს საჭიროებას“. (იქვე, გვ. 517-518).

საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1922 წლის 25 თებერვალს—3 მარტს, ლენინისა და სტალინის დირექტივა შესრულებულ იქნა. ყრილობამ ერთხმად მოიწონა ქართული წითელი არმიის მშენებლობის გაშლილი პროგრამა და ქართველ ხალხს სპეციალური მოწოდებით მიმართა. წითელი არმიის შესახებ. მიმართვაში ნათქვამი იყო:

„საქართველოს საბჭოების ყრილობა უბრძანებს, ხელისუფლების ყველა ორგანოს ცენტრში და ადგილებზე—თავისი მუშაობის პირველ პლანზე დააყენოს ქართული წითელი არმიისათვის ზრუნვა. პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნას საჭიროებანი არმიისა, რომელიც ყალიბდება, უზრუნველყოფილ იქნას იგი სათანადო ბინით, სურსათით და სხვა ხახის მომარაგებით.

„არმიის პოლიტიკური აღზრდა სათანადო სიმაღლეზე უნდა იყოს დაყენებული.

„საქართველოს მუშებო და გლეხებო! ფხიზლად უნდა აღვნიშნოთ თვალყური, რომ მუშურ-გლეხური დიქტატურის ორგანოები შეუფერხებლად, დაკვრითი წესით უწევდნენ მომსახურებას ქართული წითელარმიის საჭიროებას. უმოკლეს დროში ქართული წითელი არმია ბრძოლისუნარიანი მაზვერვიანი ძალა უნდა გახდეს.

„ჩვენ გამოვიყენებთ რუსეთის წითელი არმიის მშენებლობისა და ბრძოლის უმდიდრეს გამოცდილებას და მის მაგალითად შექმნით არმიას ქართველი მუშებისა და გლეხებისაგან. საქართველოს ეს მუშათა და გლეხთა არმია, ინტერნაციონალური წითელი არმიის ერთ-ერთი რაზმი, გაიზიარებს თავის უფროს ძმებთან ერთად მრავალრიცხოვან მტერთაგან საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საამსახურის სიმძიმეს, საქართველოსი, რომელიც მჭიდროდ არის „შეკავშირებული“ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთიან შრომითს რევოლუციურ ოჯახად“. (იქვე, გვ. 517).

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, საქართველოს მთავრობისა და მთელი ქართველი ხალხის ზრუნვა წითელი არმიისათვის განუხრელად და განუწყვეტლივ მატულობდა.

დღეს კი, დიდი სამამულო ომის დღეებში, ჩვენი ხალხი გამსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს გმირი წითელი არმიისადმი.

ამხანაგო დეპუტატებო! წითელ არმიაში ამჟამად არსებულმა ქართულმა ნაციონალურმა საჯარისო ფორმირებებმა მთლიანად და სავსებით გაამართლეს თავიანთი დანიშნულება და ისინი დიდ სამხედრო ძალას წარმოადგენენ.

ეს საჯარისო ფორმირებანი სამამულო ომის პერიოდში საუცხოო თვისებებს იჩენენ და ოკუპრობი სახელით მოსავენ თავიანთ დროშებს.

ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ საბჭოთა კავშირის დიდი მარშლის ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით და სარდლობით გერმანელთა ურდოებისაგან დაიცვა ჩვენი დედაქალაქი მოსკოვი, გაანადგურა გერმანელები ლენინგრადთან; იგი გმირულად იცავდა ლენინგრადს, ხოლო შემდეგ შეტევაზე გადავიდა და სავსებით მოხსნა ლენინგრადს გარდაქმნები ახალი დარტყმაა გერმანული ფაშიზმის მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობისათვის. ფაშიზმი—იმპერიალიზმის ეს ყველაზე უფრესი მოვლენა, ეს ხალხთა სულთამხუთავი განადგურებულ უნდა იქნას არა მარტო სამხედრო მხრივ, არამედ მორალურ-პოლიტიკურადაც.

კანონების მიღება საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ, ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის შემდგომს ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას, მომავალ ხალხებთან მეგობრობის განმტკიცებას.

ქართველი ხალხი მიისალმება ბრძნულ სტალინურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ და ამ გადაწყვეტილებებს უპასუხებს საწარმოო აქტივობის ახალი აღმავლობით, თავდადებული ბრძოლით ფრონტზე და ზურგში.

ჩვენი საწარმოების მუშები, ჩვენი კოლმეურნეები, ჩვენი ინტელიგენცია კიდევ უფრო გააძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას, ისინი კიდევ უფრო მეტ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გამოუშვებენ.

ამხანაგო დეპუტატებო! დიდმა **სტალინმა** 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმულ თავის ისტორიულ სიტყვაში ჩვენს წინაშე დასახა ამოცანა—დაუყოვნებლივ გარდავქმნათ მთელი მუშაობა სიომარ ყაიდაზე, ყველაფერი დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს, ერთიან საბრძოლო ბანაკად გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა.

ამ მოწოდების პასუხად აფხაზეთის საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ომიანობის დროის შესაფერისად იწყეს მუშაობა. 1943 წელი კარგი შედეგებით დაამთავრეს და გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს: ლ. პ. ბერიას სახელობის ტყვარჩელის რაიონულმა ჰიდროელექტროსადგურმა, აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, სპეციალურმა მშენებლობებმა და ქარხნებმა, სოხუმის კონსერვის ქარხანამ, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა. საკონდიტრო თაბრაქამ. მოლიანად ჭალაქ სოხუმის საწარმოებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა. ეს საწარმოები წარმატებით ორომეევნ თავს 1944 წლის პირველი კვარტალის ამოცანებსაც.

ტყვარჩელ-ვანახშირის ტრესტმა, რომელიც დიდ ხანს ჩამორჩენილი იყო, გაატმუჯობესა თავისი მუშაობა, გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის ამოღების თებერვლის გეგმა და განაგრძობს ქვანახშირის ამოღების მარტის დავალების შესრულებას.

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა, სახელმწიფოსათვის ციტრუსების ჩაბარების გეგმა და 4.550 ტონა თამბაქო მისცეს ჩვენს ქვეყანას. შეიძლებოდა ბევრი სხვები ფაქტი მოგვეყვანა.

მაგრამ ცუდად მუშაობს აფხაზეთის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, რომელსაც, უნდა ითქვას, არასაკმარის დახმარებას უწევს საქართველოს სს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი. ჩამორჩენილია აგრეთვე მუშაობა ქალაქ სოხუმის შემდგომი კეთილმოწყობის დარგში.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ წინ წამოვწიოთ მუშაობის ჩამორ

გამოვიყენოთ მთელი შესაძლებლობა გეგმების წარმატებით შესრულებისათვის

ხობი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ხობის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები გაცხოველებით მუშაობენ იმისათვის, რომ წელს შარშანდელზე გადამეტებით . დასთესონ 130 ჰექტარი შარცლეულ, 80 ჰექტარი სოია და საქონლის საკვები ბალახები, ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 25-30 ცენტნერი სიმინდი, გაზარდონ სხვა კულტურების მოსავალიც. კოლმეურნეობებში საგანგებოდ მოხსენიებულია თითქმის ერთიმორად მეტი ფართობი, ვიდრე შარშან ამავე დროისათვის იყო მოხსენული. ნაკვეთებში შარშანდელზე გადამეტებით გატანილია 2.000-მდე ტონა ნაკელი.

სოფელ პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მედალოსანი მიხ. ნადარაია) წელს შარშანდელზე გადამეტებით სთესავს 25 ჰექტარ სიმინდს. ამ კოლმეურნეობამ წელს 50 ჰექტარი ახალი მიწა აითვისა. დიდძალ ახალ ფართობებს ითვისებენ და შარშანდელზე მნიშვნელოვანი გადამეტებით სთესენ სიმინდსა და სხვა კულტურებს აგრეთვე სოფელ ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის (თავმჯდომარე შ. ჯოყუა), საჯიჯაოს ლენინის სახელობის (თავმჯდომარე ჯ. მხეიძე), ამავე სოფლის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ვ. მიქავა) და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. სოფელ პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, რომლებმაც შარშან შრომადღეზე მარტო სიმინდი 6,5 კილოგრამი მიიღეს, წელს პირობას იძლევიან, რომ უზრუნველჰყოფენ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობის 30 ცენტნერამდე გაზრდას, ხოლო შრომადღეზე ნახევარ ფუთამდე მარცვლეულის დარიგების, ერთიმორად მეტ დახმარებას გაუწევენ ფრონტს და წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახებს. განსაკუთრებული წარმატებით მუშაობენ აგრეთვე ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის, სოფელ ხეთის სტალინის სახელობისა და რაიონის ბევრი სხვა კოლმეურნეობა. ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში ხვნისა და საგაზაფხულო თესვის სხვა სამუშაოთა ნორმებს ხშირად ორმაგად ასრულებენ: ალ. ლეკავა, ალ. პაპავა, ოტი ადამია, ო. ალექსანდრია, ლ. ნაჭყუბია, ა. შენგელია, ფრონტელთა ცოლები ნინო ხაბურძანია, მარგალიტა ლემონჯავა, თამარ და ტატიანა კვარაცხელიები. ხვნის ნორმებს აჭარბებენ აგრეთვე მტკ-ის ტრაქტორისტები ს. ბიგვავა, ა. ხვიჩია, დ. ალანია, ი. შონია.

კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან როგორც სიმინდის, ისე ლობიოს, სოიას და სხვა კულტურების ხარისხოვანი თესლით.

ამ წარმატებათა მიუხედავად ხობის რაიონის კოლმეურნეობებში ყველა საშუალება რიგია გამოყენებული 1944 წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. უფროსელობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად სოფელ შუა ქვალონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში დაუძლურებულია 26 სული, ხოლო ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — 23 სული ხარი. სულ კი რაიონში დასუსტებული ხარების რაოდენობა 100-მდე აღწევს. სოფელ შუა ქვალონის კოლმეურნეობაში თავმჯდომარის ბ. კაკაძის უფროსელობა იქამდე მივიდა, რომ ამ გახურებული ხვნის პერიოდში 6 გუთნიდან 5 შეუკეთებელია. სოფელ ბიის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, სადაც თავმჯდომარეა ფ. შონია, ყოველდღიურად შეუძლია ხვნაზე 30 უღელი ხარის გამოყვანა, ფაქტიურად გამოჰყავს მხოლოდ 20-25 უღელი. მუშახელის საგრძნობი ნაწილი კი აქ დაუტვირთავია. სოფელ საჯიჯაოს კოლმეურნეობა „სოციალიზმში“ (თავმჯდომარე ვ. ქაჯაია) გეგმით გათვალისწინებული 180 ჰექტარიდან მოხნულია მხოლოდ 10-მდე ჰექტარი. ამავე დროს 50 უღელი ხარი მომცდარია. ძალდანარეწლის ხელსაყრელი პირობები ნაყოფიერად ვერ გამოიყენეს და ხვნაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ აგრეთვე თორსადღვაბიის გეგეჭკორის და კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობები, კოლმეურნეობა „ახალი შარა“, სოფ. პირველი მაისის კაგანოვიჩის სახელობის, სოფ. საჯიჯაოს ბერიას სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

სუსტად მუშაობს ხობის მტსი-ი (დირექტორი ბ. სალაია). მიუხედავად იმისა, რომ მტსმა ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტი წელს ვადაზე ადრე დაამთავრა და შარშანდელთან შედარებით მეტი აქვს მოხნული, მან ვერ უზრუნველჰყო ხვნაზე პირველი შესაძლებლობისთანავე გასვლა, ვერ შესძლო ყველა მანქანის სრული დატვირთვით გამოყენება. მოძრავი სახელოსნოს უქონლობისა და გაუფრთხილებლობის შედეგად ტრაქტორების მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად მომცდარია, ტრაქტორისტთა უმრავლესობა ნორმებს ვერ ასრულებს. ტრაქტორი, რომელიც შ. იოსავამ აბარია, ნაწილების დაზიანების გამო 5 მარტის შემდეგ არ მუშაობს. გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ ტრაქტორისტები ბ. ქადარია და მ. ქაჯაია.

ზოგან ადგილი აქვს აგროწესების დარღვევასაც. სოფ. ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტმა ლ. რეკვავამ 12 მარტს 2 ჰექტარი ზერელედ და ხარვეზიანად მოხნა. ცუდი ხარისხით მუშაობს ფაქტებს ადგილი აქვს კოლმეურნეთა მიზეზითაც. დაბალი ხარისხით მოხნული აღმოჩნდა სოფ. პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეორე და მესამე ბრიგადებში თითქმის 3 ჰექტარამდე.

დროულად აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი, გამოვიყენოთ მთელი შესაძლებლობა გეგმების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ტრ. თოდრაძე

ლაშქრობა გამარჯვების მოსავლისათვის

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). ვორონეჟის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ნოვაია ჟიზნი“ მუშების, მუშა ქალების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების მოწოდებას — დავიწყოთ ლაშქრობა უხვი მოსავლისათვის! — გამარჯვების მოსავლისათვის — ფრთხილ გამოხმაურება ჰპოვა რაიონის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შორის.

ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები ჩაღებენ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს: მაღალხარისხოვან ჩაატარონ ჩაის ჰარვესტიციების საგაზაფხულო სამუშაოები, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს, გეგმის გადამეტებით მისცენ სახელმწიფოს 50.000 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, დაამზადონ გეგმის გადაჭარბებით 50.000 ცალი ციტრუსის ნაყოფი, 30 ტონა ტუნგოს ნაყოფი, 10 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება.

ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოჰკრიფოს 30 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით.

ლაითურის და კიროვის საბჭოთა მეურნეობების მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურეები უკვე შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ლ. ლოლაძე

მოწინავე მწყემსები კლუხორის რაიონიდან

(კლუხორი, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

კლუხორის რაიონში მასობრივი დოლი დაიწყო. დოლი განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს ზემო ტებერდის კოლმეურნეობაში. ნამატის მოვლისათვის ბრიგადების შეჯიბრებაში პირველი ადგილი უკავია ი. ლაფიაშვილის ბრიგადას. მეორე ადგილზეა სოკო იუზბანაშვილის ბრიგადა. ამ ბრიგადებს ცხვრის და თხის ნამატის სიკვდილის არც ერთი შემთხვევა არა ჰქონიათ. სტახანოვურად მუშაობენ მწყემსები პაპუთენ ნატროშვილი, იოსებ ზამაზაშვილი, ვანო ხუნაშვილი. კარგს მდგომარეობაშია ის ცხვრები, რომლებსაც ძამანაშვილის ბრიგადა უვლის.

მთელ რიგ ბრიგადებში მწყემსების ენერგიული მუშაობის მეოხებით ბატკნის მოგება კარგად მიმდინარეობს. განსაკუთრებით გამორჩევა პეტრე აბუსაძის ბრიგადა, სადაც მუშაობენ სტახანოველი მწყემსები გიორგი პილიეკი და იასონ გილამკილი. სოფელ ქვემო ტებერდში ყველაზე უკეთ მუშაობს მეცხვარეობის ბრიგადა რაჟდენ ხუციშვილისა.

რაიონის მეცხვარეობის ბრიგადირებმა შეჯიბრების პირობებში შეიტანეს ვალდებულება ისე მოაწყონ მუშაობა ბრიგადებში, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ გათამაშებულ ადამიანები და კოლმეურნეობას დაეხმარონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებაში. 17 მარტს საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობა დაიწყო 8 გუთანმა, რომლებიც მეცხვარეობის ბრიგადების ძალებით მუშაობენ. მეცხვარე გუთნისდედები გიორგი გოგიჩაშვილი, იაგორ ალოუნაშვილი, როსტომ გასიშვილი დღეში 0,5-0,6 ჰექტარს ხნავენ 0,4 ჰექტარის ნაცვლად.

დ. ლომთაძე

ჭარხლის თესვის წინ

გორი, (საქდესი). გორის რაიონის კოლმეურნეობათა ჭარხლის მინდვრებში გაჩაღდა თესვის წინა სამუშაოები. მთელ იმ ფართობის სამი მეოთხედი, რაც შემოდგომაზე მოიხნა ჭარხლის დასათესად, უკვე დაფარცხულია.

გარდა 12 ათასი ტონა სასუქისა, რაც შეტანილ იქნა შუალად ხვნის დროს, დათესვის წინ ჭარხლის მინდვრები მეორედ იქნება გაპოხიერებული. მინდვრებში გატანილია 7 ათასი ტონა ნაკელი, 670 ცენტნერი სკინტლი, 1.200 ცენტნერი ნაცარი.

ჭარხლის თესვა რაიონში დაიწყება მარტის უკანასკნელ რიცხვებში. ბერიას სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, დიდი ლიახვის და სხვა მოწინავე კოლმეურნეობებსა დაამთავრეს სათესი მანქანების რემონტი და თესლის დახარისხება.

საგაზაფხულო ხვნის მიმდინარეობა კოლმეურნეობებში

საქმიწსახკომის 1944 წლის 15 მარტის ცნობებით

რაიონები	ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით.	რაიონები	ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	39,0	ხაშური	28,5
აჭარის ასსრ	2,7	ქარელი	17,1
აბაშა	68,8	გორი	22,5
ცხაკაია	33,2	კასპი	33,3
გეგეჭკორი	51,5	ბორჯომი	3,0
ზუგდიდი	32,1	წალკა	11,2
ხობი	49,5	დუშეთი	29,4
წალენჯიხა	37,1	თეთრი წყაროო	58,0
ჩხოროწყუ	24,0	გურჯაანი	34,5
მახარაძე	46,8	სიღნაღი	51,9
ლანჩხუთი	24,1	წითელწყაროო	82,8
ჩოხატაური	6,9	თელავი	38,1
ფოთი	60,5	ყვარელი	47,8
ქუთაისი	64,3	ლაგოდეხი	52,9
წყალტუბო	86,5	თბილისი	63,7
სამტრედია	61,0	მცხეთა	57,3
წულუკიძე	54,3	ყარაია	96,3
ვანი	52,7	ბორჩალო	88,8
მაიაკოვსკი	12,5	ბოლნისი	45,5
ზესტაფონი	32,2	საგარეჯო	31,7
საჩხერე	2.8	ბაშკიჩეთი	21,9
ასპინძა	9,0		

დონბასელთა საჩუქარი ზესტაფონელ მეჯალურგეებს

ზესტაფონი, (საქდესი). ამ დღეებში ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანამ დონბასის ახლად ამუშავებულ საწარმოებისაგან საჩუქრად მიიღო 35 ვაგონი კოქსი. ფერომარგანეცის ქარხნის კოლექტივს ეს საჩუქარი გადასცა დონბასელთა დელეგაციამ, რომელსაც ამბ. პროხოროვი მეთაურობდა.

დონბასელთა დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ქარხანაში გაიმართა მიტინგი.

მიღებული საჩუქრის პასუხად ფერომარგანეცის ქარხნის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება გამოუშვას კიდევ უფრო მეტი მაღალხარისხოვანი ლითონი.

ნახევარი წლის პროგრამა 75 დღეში შეასრულეს

ტყიბული, (საქდესი). წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებული ტყიბულელი მაღაროელნი სისტემატურად ადიდებენ ქვანახშირის ამოღებას.

სტალინის სახელობის მაღაროს, რომელსაც 109 პროცენტით შეასრულა ქვანახშირის ამოღების თებერვლის გეგმა, წარმატებით განაგრძობს მუშაობას. მარტის პირველი ნახევრის განმავლობაში მაღაროს გეგმის გადამეტებით ამოიღო 50 ტონა ქვანახშირი. საუცხო მაჩვენებლებს აღწევს ლენინის სახელობის მაღაროში მეხუთე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც ხელმძღვანელობს სამთო ოსტატი მედალოსანი გ. ფანჩულიძე. უბანმა მარტის 16 დღის განმავლობაში გეგმის გადამეტებით ამოიღო 225 ტონა ქვანახშირი.

დასავლეთ შახტში ყველაზე წინ არის პირველი უბანი შოთაძის ხელმძღვანელობით. 16 დღის გეგმა უბანმა შეასრულა 116,7 პროცენტით. მუშაობდნენ რა ფრონტულად, შახტის მოწინავე მუშებმა ი. ილიაშვილმა, ვ. ლაფენეკომ, ნ. კრასნოგოლოვეცმა, შ. კახიძემ და სხვ. 15 მარტისათვის დაამთავრეს ნახევარი წლის პროგრამის შესრულება.

დღეფეგი

სამმარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 19 მარტი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარები წინსვლას განაგრძობენ ქალაქ კასინოს რაიონში. მოკავშირეთა ხელშია თითქმის მთელი ქალაქი, გარდა მისი დასავლეთი ნაწილისა.

გუშინ მოკავშირეთა ძლიერ ბომბდამშენებმა რამდენიმე თავდასხმა მოახდინეს მტრის აეროდრომებზე. ჩამოყრილმა ბომბებმა დიდი ნგრევა გამოიწვია.

18 მარტს ღამით თავდასხმა მოეწყო ბლოვდივის (ბულგარეთი) სარკინიგზო კვანძზე.

დღე-ღამის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 56 თვითმფრინავი. მტრის დიდძალი მანქანები მოსპობილ იქნა აგრეთვე ხმელეთზე.

ლონდონი, 20 მარტი (საკდესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება. რომ მოწინააღმდეგემ შესძლო გამაგრებულიყო თავის დასაყრდენ პუნქტებზე კასინოში და ხელახლა ჩაეგდო ხელში ერთ-ერთი პატარა ბორცვი, ქალაქ კასინოში და ბორცვის ფერდობზე მონასტერს ქვემოთ გააფთრებული ბრძოლები გრძელდება. ამერიკის მე-5 არმიის ძირითადი ფრონტის სხვა უბნებზე და მოკავშირეთა პლაცდარმზე ანციოსთან (რომის სამხრეთით) ადგილობრივი მნიშვნელობის ძლიერი ბრძოლები სწარმოებს. მაგრამ ფრონტის მთელ ხაზზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ინგლისის მე-8 არმიის ფრონტზე ხდება პატრულების შეტაკებანი, რომელთა შედეგადაც მოწინააღმდეგეს ზარალი მოუვიდა. წამოყვანილია ტყვეები.

გუშინ მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის ობიექტებზე ავსტრიასა და იუგოსლავიაში, აგრეთვე იტალიის დასავლეთ სანაპიროზე. მოკავშირეთა ხმელეთშუა ზღვის საჰაერო ძალებმა 1.800-მდე თვითმფრინავგადაფრენა მოახდინეს. მოწინააღმდეგის ავიაციამ დღის განმავლობაში მოახდინა ასზე მეტი თვითმფრინავგადაფრენა ბრძოლების რაიონის თავზე.

ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში საფრანგეთის მსუბუქი სამხედრო ხომალდები შეხვდნენ მოწინააღმდეგის გემების პატარა ქარავანს და ჩაძირეს მტრის სამი, ან შესაძლოა ოთხი გემი.

„სამამულო ფრონტი“ რუმინეთში

სტამბოლი, 17 მარტი (საკდესი). აქ მიღებულია ზოგიერთი ცნობა რუმინეთში შექმნილი „სამამულო ფრონტის“ საქმიანობისა და მისწრაფების შესახებ. ამ ცნობების თანახმად, „სამამულო ფრონტი“, რომელიც სსრკავშირთან და მის მოკავშირეებთან ზავისაკენ მიისწრაფვის, სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეს იძენს რუმინეთში. „სამამულო ფრონტის“ ხელმძღვანელები ჯერჯერობით კიდევ ამჯობინებენ, რომ მათი ვინაობა გამოუცხადებელი იყოს.

„სამამულო ფრონტის“ პროგრამა შეიცავს 7 პუნქტს: 1) დაუყოვნებლივ გამოსვლა გერმანიის ომიდან და შეერთება დემოკრატიულ ქვეყნებთან; 2) გერმანელების განდევნა რუმინეთიდან; 3) ანტონესკუს მთავრობის ჩამოგდება; 4) ნამდვილი ნაციონალური მთავრობის შექმნა; 5) დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა აღდგენა; 6) ყველა პატრიოტის განთავისუფლება საპყრობილეებიდან; 7) ომის ჰიტლერელ დამშაბვითი დასჯა. პროგრამის ტექსტი თავდება სიტყვებით: „ძირს ჰიტლერული ტირანია! გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ რუმინეთს!“.

„სამამულო ფრონტი“ უშვებს თავის არალეგალურ გაზეთ „თავისუფალ რუმინეთს“, რომელშიც მოუწოდებს — დარაზმულ იქნას რუმინეთის ყველა ანტიჰიტლერული ძალა. დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა.

ინგლისის ბომბდამშენთა თავდასხმა ფრანკფურტზე

ლონდონი, 19 მარტი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, 18 მარტს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა ათასზე მეტი თვითმფრინავგადაფრენა მოახდინეს. თავდასხმის მთავარი ობიექტი იყო გერმანიის ქმიური მრეწველობისა და ზუსტი მანქანათმშენებლობის ცენტრი — ფრანკფურტი. ქალაქის თავზე ხანძრების დიდი შუქი სჩანდა.

ბომბდამშენთა სხვა შენაერთებმა მთელი რიგი თავდასხმები მოახდინეს მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებზე დასავლეთ გერმანიაში.

მოკავშირეთა ავიაციის მიერ ჩატარებული ოპერაციების დროს 18 მარტს ჩამოგდებულ იქნა გერმანელთა 82 თვითმფრინავი.

ამერიკის ბომბდამშენთა თავდასხმა ფრანკფურტის რაიონზე

ლონდონი, 20 მარტი (საკდესი). ოპერაციების ევროპის ასპარეზზე მომქმედ ამერიკის შეიარაღებულ ძალთა შტაბმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ ამერიკის ბომბდამშენთა მნიშვნელოვანმა შენაერთმა იერიში მიიტანა სამხედრო ობიექტებზე ფრანკფურტის რაიონში. ტერმინი „მნიშვნელოვანი შენაერთი“ ნიშნავს, რომ ოპერაციაში მონაწილეობდა 250-დან 500-მდე ბომბდამშენი.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 18 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის ბომბდამშენთა დიდი შენაერთები ავიაგადამანადგურებელთა თანხლებით 17 მარტს თავს დაესხნენ სამრეწველო ობიექტებს სამხრეთ გერმანიაში. თავის ბაზებში არ დაბრუნებულა ამერიკის 22 ბომბდამშენი და 13 ავიაგადამანადგურებელი.

ლონდონი, 19 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 19 მარტს დღისით „შერედერის“ მარკის თვითმფრინავებმა, რომლებსაც თან ახლდნენ ავიაგამანადგურებლები, ზოახდინეს თავდასხმა სამხედრო ობიექტებზე ჩრდილოეთ საფრანგეთში.

19 მარტს საღამოს ამერიკის ავიაციის დიდმა შენაერთებმა მოახდინეს მთელი რიგი თავდასხმები პა-დე-კალეს სამხედრო ობიექტებზე.

ინგლისის ავიაციის მოქმედება ომის განმავლობაში

ლონდონი, 19 მარტი (საკდესი). როგორც ავის სააგენტო იუწყება, ინგლისის ბომბდამშენებმა 1940 წლის 1 მაისიდან 1943 წლის 31 დეკემბრამდე 246.425 ტონა ბომბი დააყარეს გერმანიას, იტალიას და ოკუპირებულ ქვეყნებს. ამ რაოდენობიდან 203.300 ტონა ბომბი დააყარეს გერმანიას, 9.060 ტონა—იტალიას და 34.065 ტონა—ოკუპირებულ ქვეყნებს.

1940 წელს ჩამოყრილ იქნა 12.795 ტონა ბომბი, 1941 წელს—31.185 ტონა, 1942 წელს—45.285 ტონა და 1943 წელს—157.160 ტონა ბომბი.

ვენასა და სოფიაზე მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმების დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 19 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენი ავიაციის დიდი ძალების თავდასხმა ვენაზე, რაც 17 მარტს მოხდა, დღის პირველი თავდასხმა იყო ამ ქალაქზე ომის განმავლობაში. თავდასხმის დროს ჰაერში გერმანელთა არც ერთი ავიაგამანადგურებელს არ შეხვედრიან.

სტამბოლი, 19 მარტი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, სოფიაზე მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმის დროს, 15 მარტს ღამით, ბომბები პირდაპირ მოხვდა სამხედრო სამინისტროს შენობას, სადაც მოთავსებული იყო ბულგარეთისა და გერმანიის სარდლობა, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამხედრო უფაზარმები და სხვა შენობები. ქალაქში არ არის არც სინათლე და არც წყალი, ტრამვაის ხაზები დანგრეულია.

ნგრევის შედეგთაგან ქუჩების გასაწმენდად, სამხედრო ნაწილებს გარდა, მობილიზებულია სამოქალაქო მოსახლეობა.

უნგრეთის ოკუპაცია გერმანიის ჯარების მიერ

ანკარა, 20 მარტი (საკდესი). ანატოლიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს თავისი კორესპონდენტის ცნობას ბუქარესტიდან, რომ გერმანიის ჯარებმა მოახდინეს მთელი უნგრეთის ოკუპაცია. ოკუპაცია მოხდა იმ დროს, როცა ჰორტი და უნგრეთის გენერალური შტაბის უფროსი ჰიტლერის მიწვევით მის ბანაკში იმყოფებოდნენ.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 19 მარტი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ფრონტის ყველა უბანზე სლოვენიაში გაფთრებული ბრძოლები მომდინარეობდა, რომელთა მსვლელობაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მე-14 დივიზიამ. სლოვენიაში თავიანთი უკანასკნელი შეტევის დროს ჰიტლერელებმა 1.900 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს ვიტანეს ახლოს. განადგურებულია დიდი ჯგუფი გერმანელებისა, რომელთაც ტანკები და ატილერია ჰქონდათ. პრიედორ-ომარსკის ხაზზე სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებმა მოსპეს მტრის ჯავშნამატარებელი და ბევრგან დაანგრიეს რკინიგზის ვაკისი.

გერმანიის 6 წყალქვეშა ნავის ჩაძირვა

ლონდონი, 19 მარტი (საკდესი). ინგლისის საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალები წარჰეტებით მოქმედებდნენ ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში გერმანიის წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ იერიში მიეტანათ მოკავშირეთა ქარავნებზე. ოპერაციების დროს ჩაძირულ იქნა მტრის ექვსი ნავი. მოკავშირეთა ქარავნებს არცერთი ხომალდი არ დაუკარგავთ.

მდგომარეობა ფრანსილვანიაში

სტამბოლი, 19 მარტი (საკდესი). იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც აქ მოდის, ბუქარესტისა და ბუდაპეშტის ხელისუფალნი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გააჩაღონ ეროვნული შუღლი და მტრობა ტრანსილვანიის მოსახლეობაში. მაგრამ უკანასკნელ ხანს ტრანსილვანიის მოსახლეობაში ვრცელდება უნგრულ და რუმინულ ენებზე დაწერილი ანტიფაშისტური ფურცლები, რომლებიც მიმართულია რუმინეთისა და უნგრეთის ხელისუფალთა წინააღმდეგ, ერთ-ერთ ასეთ ფურცელში ნათქვამია: „ბუდაპეშტისა და ბუქარესტის პროფაშისტური მთავრობები მოსახლეობის ერთ ნაწილს მეორეს უსისინებენ. მაგრამ ტრანსილვანიის ხალხებს სძულთ ჰორტისა და ანტონესკუს ფაშისტური რეჟიმები და სურთ იბრძოლონ გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. რუმინეთისა და უნგრეთის მოსახლეობას შორის არავითარი მტრობა არ არის. მას ხელოვნურად აჩაღებენ ჰიტლერის დაქირავებული ლაქიები“.

რუმინეთისა და უნგრეთის პოლიცია მრავალ პირს აპატიმრებს სამხრეთ და ჩრდილოეთ ტრანსილვანიის მოსახლეობიდან. ოკუპანტი ოვენხეკრის მანძილზე ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში დაპატიმრებულ იქნა ათასზე მეტი კაცი, რომელთა უმრავლესობასაც ბრალად ედება კარპატისპირა უკრაინის პარტიზანებთან კავშირის დამყარების ცდა.

პიუშეს სიკვდილით დასჯა

ლონდონი, 20 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ალეირიდან იუწყება, რომ მას შემდეგ, რაც საკასაციო საჩივარი პიერ პიუშესი, რომელსაც ალეირის სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, უარყოფილ იქნა, მისმა დამცველმა 18 მარტს დე-გოლს ჯაუგზავნა თხოვნა შეწყალების შესახებ, რომელიც აგრეთვე უარყოფილ იქნა. დღეს დილით პიუშესათვის გამოტანილი განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში.

გერმანიის სამხედრო მრეწველობის პროდუქციის შემცირება

სტოკჰოლმი, 19 მარტი (საკდესი). გაზეთი „აფტონბლადეტი“ იუწყება, რომ მის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, „გერმანიის სამხედრო მრეწველობის პროდუქცია ძლიერ შემცირდა არა მარტო მოკავშირეთა მიერ დაბომბვის შედეგად“. მუშახელის შეგროვების ჰიტლერული რწმენებულის ზაუკელის ყველა ღონისძიებისა და უცხოელ მუშათა უდიდესი რაოდენობის გამოყენების მიუხედავად, გერმანიის მრეწველობა -მძიმე მდგომარეობას განიცდის მუშახელის ნაკლებობის გამო. სამხედრო ქარხნებში მუშა ქალთა რიცხვი, რაც ომამდე 8 პროცენტს შეადგენდა, ახლა 30 პროცენტამდე გაიზარდა. გაზეთი აღნიშნავს ქვანახშირის ძლიერ ნაკლებობას გერმანიაში მუშახელის სიმცირის გამო.

ვეზუვის ამოხეთქვა

ლონდონი, 20 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ნეაპოლიდან გადმოგვცემს, რომ ვეზუვის ამოხეთქვა, რაც 24 საათის წინათ დაიწყო, თანდათან უფრო სერიოზული ხდება და, უეჭველია, თავისი ოდენობით გადააჭარბა ამ ვულკანის ყველა ამოხეთქვას 1906 წლის შემდეგ. სპეციალისტების აზრით, ჯერ კიდევ ნაადრევია წინასწარმეტყველება, შესწყდება თუ არა ამოხეთქვა ზარალის გამოუწვევლად. უკანასკნელ დრომდე საჭირო არ იყო ზომების მიღება მოსახლეობის ევაკუაციისათვის, მაგრამ მდგომარეობა სულ უფრო სერიოზული ხდება.

ლენინგრადი დღეს. სურათზე: ნევის პროსპექტი.
ფოტო ბ. ლოსინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

„დაჭრილი მებრძოლის დღე“

საქართველოს ხელოვნების მუშაკები დიდ მუშაობას ეწევიან წითელი არმიის ნაწილებისა და ჰოსპიტლების მხატვრული მომსახურებისათვის. მსახიობები სისტემატურად აწყობენ კონცერტებსა და სპექტაკლებს წითელარმიელ კლუბებსა და ჰოსპიტლებში. ეს მუშაობა ტარდება გეგმით, რომელსაც ყოველთვიურად ადგენს ცენტრალური სამეფო კომისია ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და სამხედრო უწყების წარმომადგენლებთან ერთად.

გარდა ამ საერთო სამეფო მუშაობისა, ხელოვნების დაწესებულებები — თეატრები, მუსიკალური სასწავლებლები — შეფობენ ცალკე ჰოსპიტლებს. ჰოსპიტლების მომსახურების უკეთ დაყენების მიზნით თებერვალსა და მარტში ჩატარდა „დაჭრილი მებრძოლის დღე“. ამ დღეს თეატრის მუშაკები ეწვიენ ჰოსპიტლებს, მიუტანეს დაჭრილ მებრძოლებსა და ოფიცრებს სიხარული, გამართეს კონცერტები, შეასრულეს მთელი რიგი სამუშაოები.

ამ დღეებში პროფკავშირთა სასახლეში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ თეატრებისა და მუსიკალური სასწავლებლების დირექტორები, სამეფო კომისიები და ჰოსპიტლების წარმომადგენლები. თათბირი გაიხსნა ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარის ამბ. ვ. გვინჩიძის სიტყვით. ინფორმაციული მოხსენება „დაჭრილი მებრძოლის დღის“ ჩატარების შედეგებზე გააკეთა ამბ. ნ. შერატოვმა. სიტყვები წარმოსთქვეს ჰოსპიტლების წარმომადგენლებმა ამბ. გოგოლაძემ, გრიგორაშვილმა, სირაძემ, შახკამიანმა, თეატრების წარმომადგენლებმა ამბ. ზაბელინმა (ცრიბოიდვის თეატრი), ნ. მარშაკმა (მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი) და ბ. გამრეკელმა (შუსკომედიის თეატრი).

მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ „დაჭრილი მებრძოლის დღე“ ჩაატარეს რუსთაველის, გრიბოედოვის, მარჯანიშვილის, მუსკომედიის, სანკულტურის, ოპერის, სომხური დრამის, აზერბაიჯანული დრამის, მოზარდ მაყურებელთა ქარხულმა, რუსულმა და სომხურმა თეატრებმა, ცირკმა, რადიოკომიტეტმა, I, III და IV მუსიკალურმა სასწავლებლებმა, საქართველოს ფილარმონიამ, კონსერვატორიამ, თეატრალურ ინსტიტუტმა, სამხატვრო აკადემიამ, მხატვრთა კავშირმა, რუსულ მუსკომედიის თეატრმა და სხვ. ეს მუშაობა ჩაუტარებიათ.

საჭიროა საეფო მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდეს და „დაჭრილი მებრძოლის დღე“ მოეწყოს ყოველთვიურად.

დაზიანებულ შენობათა აღდგენის მეთოდების შესწავლა

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან